

მაგდა მაია ნატო ლელა  
ნელი თამაზი  
დალი



წიგნი  
სულის მაძიებელთათვის

თბილისი 2013  
“გეორგიკა”

UDC(უაკ) 821.353.1-4

თ—159

თარგმანები და საავტორო ესეები

თამაზ თავაძისა

ISBN 978-9941-0-5838-7



## იოგას სკოლა «ოქროს საწმისი» მასწავლებელი თამაზ თავაძე

მისამართი:

თბილისი, ანა ქალანდაძის (ყოფილი ბულაჩაურის)  
ქ №7 I სად; I სართული

ტელ: 599 96 99 11; (995) 0 790 50 18 69  
E-mail: tpt3839@mail.ru



## წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო, თქვენს წინაშე უაღრე-  
სად ლამაზი და ულამაზესი და ...ზეულამაზესი  
ბავშვებისა და ლმერთის, დედისა და საერთოდ  
მშობლების განუმეორებლად ტკბილი წიგნია გა-  
დაშლილი. ეს იდეა უცხოეთში დაიბადა, შემ-  
დეგ რუსეთი დაესესხა მას და... აღმოჩნდა, რომ  
თურმე ჩვენ, ეროვნული სულის წიაღში გვყო-  
ლია ისეთი სულმნათი მამულიშვილი, რომელ-  
მაც წიგნი და მისი შინაარსი უმოკლეს ესსეში  
ისე გადმოგვცა, რომ მასზე უპეოესად ვერავინ  
იტყვის და ვერც იტყოდა მთელს მსოფლიოში  
და რაც მთავარია, უცხოეთზე ადრე გაახმოვანა  
მან ის უძვირფასესი იდეა, რომელიც ამ პატა-  
რა, მაგრამ უსასრულო შინაარსის მქონე წიგნი-  
თაა გადმოცემული. ეს უკვდავი, ბუმბერაზი და  
მოკრძალებული ადამიანი ნოდარ დუმბაძეა....

“დედაშენი არის ლმერთი! შენ რომ ზიხარ და  
უყურებ. ისიც რომ გიყურებს. შენ რომ დედას  
ეძახი და ის შვილს გეძახის, ამიტომ შენ გგონია  
ლმერთი არ არის? შენ ლმერთი ვინ გგონია?  
წვერებიანი ბაბუა?

დრუბლებზე ზის და პირს რომ იბანს – წვიმა  
მოდის? და დმერთი ისე ნათელია, ისე ახლობე-  
ლი, ისე ახლო და ისე უბრალო, რომ როდესაც  
ხედავ, არ იცი რომ დმერთია, ამაშია დმერთის  
უბედურება, ამიტომ არ წამო დმერთისა.

დმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან,  
ცალკე და მაღლა, დმერთი რომ ჩვენში არ იყოს,  
მაშინ ყველა იწამებდა. ამაშია საქმე!.. დმერთი  
მაშინ უნდა იწამო, დმერთის სახე რომ არ აქვს,  
რომ არ ჰგავს დმერთს, რომ არ გეუბნება, დმერ-  
თი ვარო, პურს რომ გიყოფს, სადილს რომ გი-  
კეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახუ-  
რავს, გიღიმის და გეფერება, გეოცნის და ტირის  
შენი გულისთვის, კვდება შენი გულისთვის, ცივა,  
წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშ-  
მაქს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო... აბა,  
დმერთმა თუ თავისი სახე გაჩვენა, კედელთან  
მიგაყენა, ყური აგიწია და თვითონ თუ გითხრა  
დმერთი ვარ და მიწამეო, მაშინ რაღად უნდა  
დმერთს შენი რწმენა?

ასეთ დმერთს შენ კი არა, ყველა იწამებს.  
დმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ გგავს, მე  
რომ მგავს, დედაშენს რომ ჰგავს, გასაგებია?”

ნოდარ დუმბაძე

ნოდარ დუმბაძის ამ შედევრიდან თქვენ მიხვდებით, რომ იგი ის ადამიანი იყო, რომელიც წმინდანთა და მოციქულთა ტოლფასი ამოცანის ამოხსნის უნარიანი ყოფილა. მოციქულები და წმინდანები ხომ გულს პოულობდნენ და ასე ეზიარებოდნენ ღმერთს?! დიახ, ნოდარმაც მიაგნო გამჩენს და თქვენ მისი ამ ყველაზე დიდი შედევრის მონაკვეთიდან გამომდინარე მიხვდებით, რომ ის საიდუმლო, რომელსაც ქვემოთ მოყვანილი იგავი შეიცავს, ნოდარ დუმბაძემ წმინდანთა და მოციქულთა მსგავსად, სულ რამოდენიმე სტრიქონში გახსნა, – მან ზუსტად იცოდა და ჩვენც გაგვანდო თუ სადაა და ვინაა ღმერთი...

...და შეჰქმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად და ...შეაწუხა ადამიანმა: ყოველი სურვილისას მამასთან მიდიოდა... და მინდაო, და ისიც უსრულებდა. სად არ დაემალა მას ღმერთი, – იქნებ დამოუკიდებლობა ისწავლოსო, –ხან მთვარეზე, ხან მზეზე, ხან ვარსკვლავთ შუა და ხანაც ქვესკნელში, მაგრამ ადამიანმა ყველგან მიაგნო და “მინდა” და “გეხვეწები” და “კიდევ ერთი სურვილი შემისრულეო” და... თხოვნას კი საზღვარი არ ჰქონდა...

შეწუხებული ზეციერი თხოვნით მიმართავს დემიურგებს, კოგანებს, მოციქულებს და წმინდანებს – სად დავიმალო? მათ ურჩიეს ყველა

ის ადგილი, სადაც უფალი უკვე იმალებოდა და ამიტომაც უფალმა დაიწუნა მათი რჩევები. ბოლოს ერთმა ურჩია, — გულში დაიმალეო! დმერთი დაეჭვდა, იქ ხომ უცებ მიპოვისო. რაზეც წმინდანმა უპასუხა: კი, იქ გიპოვის, მაგრამ იქ ის მანამდე არ დაგიწყებს ძებნას და ვერც კი მიხვდება, რომ გულში ხარ, ვიდრე არ დაიტანჯება ცხოვრების სატანჯველით. და როცა გიპოვის, აღარ შეგაწუხებს და თავად გახდება შენი მსახურიო.

თ. თავაძე



## მადლიერების ლოცვა დვორისმშობლის გზავნილი

დიდება შენ, ღმერთო, რამეთუ შენ უწყი ვინ  
ვარ მე და ვინ ვიყავი. დიდება შენ, უფალო,  
რამეთუ შენ მომეცი შანსი, შესაძლებლობა  
აღვამაღლო სული ჩემი. მადლობა შენ, ღმერ-  
თო, რამეთუ მომივლინე ბევრი განსაცდელი,  
რამეთუ მე ვისწავლე, შევიმეცნე ბევრი რამ.  
მადლობა შენ, თავო ჩემო, რამეთუ ჩემში  
ფეოქავს გული დღემდე, რომ მე მესმის მისი.

მადლობა შენ, გულო ჩემო, რომ მაპატიე და შემინდე უვიცობა ჩემი, მადლობა შენ, მტე-განო ჩემო, რამეთუ მოწყურებულმა ვაზი არ დააჭკნე ჩემში. მადლობა თქვენ, თვალნო ჩემნო, რამეთუ არ დაგაპრმავათ სიბნელემ ჩემში. მადლობა თქვენ, ყურნო ჩემნო, რამეთუ არ დაგაყრუათ უვიცობამ ჩემმან. მადლობა შენ, დედავ ჩემო, მიწავ ჩემო, რამეთუ არ გამხადე შენს ნაწილად ჩემი ბოროტების განდევნამდე გულიდან ჩემიდან. მადლობა შენ, ცაო ჩემო, რამეთუ არ მოავლინე წარდვნა ჩემი ლეშის მოსაძირკვად. მადლობა შენ ლმერთო ჩემო, რათა მომავლინე ამ ქვეყნად და მომეც მე-ოხება, ძალა და უფლება ვარსებობდე შენს ვენახში, მსხმოიარე ყურძენთა შორის. მად-ლობა შენ, დიდო დედავ, რამეთუ მოვევლინე ქალად (კაცად), ანუ დედად (მამად). მადლობა შენ ბუნების დედავ, რამეთუ მე ვარსებობ და ვსვამ წყალს შენი ნაკადულიდან და ვსუნთქავ შენით!!!

მადლობა გულო ჩემო, რომ სარ ლმერთიც, ბუნებაც, დიდი დედაც, დედამიწაც, წყალიც, ჰაერიც, კოსმოსიც და ფეთქავ ჩემს მკერდში. შენ სარ სამყარო და მე ვარ შენი ნაწილი!!!



ჭეშმარიტება ბავშვის ენით ლაპარაკობს!  
ჩვენი კრისტალები. კრისტალური ბავშვები

კრისტალები—ღვთის დესპანები არიან. ყველა მათგანი, ამაღლების მიმდინარე ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტში, ჩვენდა დასახმარებლადაა მოსული. თავისი ნათლით კრისტალები თვით პლანეტასაც დაეხმარებიან მისდაასევე ამაღლებისათვის.

რა ურთიერთობაა საჭირო იმისათვის, რომ

გავუგოთ ბავშვს, რათა დავინახოთ ის, თუ რისი ჩვენება სურს მას ჩვენთვის? კრისტალუ-ბი ჩვენი ბრძენკაცებია. მათ ყველაფერი იციან, ყველაფერს ხედავენ. მათი თვალები, ვით უწ-მინდესი ის კრისტალური წყალია, რომელ შიც განიწმინდება და განიბანება ნებისმიერად დაცემული სული. მხოლოდ ჩახედეთ ამ თვა-ლებს და ყველაფერი გასაგები და ნათელი გახდება. იმ თვალებში თვით სიბრძნის ქალ-ღმერთის სიბრძნეა ჩადებული და ძალა მა-მაზეციერისა.

კრისტალური ბავშვები ჩვენთან სხვადასხვა გალაქტიკებიდან და სხვადასხვა პლანეტე-ბიდან არიან მოსული და ყოველი მათგანი თავისი მისითაა მოვლენილი. ყოველ მათ-განს თავისი ამოცანა აქვს და თავისი ად-გილი გააჩნია ამაღლების ამ მომენტისათ-ვის. ზუსტად ამ მომენტისათვის ისინი ჩვენდა მოსამზადებლად მოვიდნენ. ბრძოლის დროს ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით და კრისტალუ-ბი უმთავრეს როლს აიღებენ საკუთარ თავზე. თავისი სინათლით ისინი აღამაღლებენ ჩვენს პლანეტას.

როგორი ურთიერთობა უნდა დაამყარონ  
მშობლებმა ჩვენს ამ პაწაწინა ბრძენთაბრძენ  
არსებებთან? უპირველეს ყოვლისა, მშობლებ-

მა უნდა დაინახონ და შეიგნონ ის, თუ ვინ  
დგას მათ წინაშე. მათ წინაშე ბავშვი და ზრდა-  
სრული ბრძენია ერთდროულად. იგი მზადაა  
პასუხი გასცეს თქვენს ყოველ შეკითხვას სი-  
ტყვით, ტელეპატიურად, მოქმედებით, მიმიკით,  
ჟესტებით და ა.შ. უბრალოდ დააკვირდით მათ  
და ისინიც ყველაფერს გიჩვენებენ და მო-  
გითხობენ. ეხლა კრისტალების სახით მოევ-  
ლინნენ ყველა ჩვენთაგანს ბრძენი მასწავლებ-  
ლები, სულიერი მოძღვრები და თანაშემწენი.  
დახმარების მისაღებად საჭიროა მათთან ურთი-  
ერთობა. უპირველესად ყოვლისა კრისტალე-  
ბი უნდა გიყვარდეთ და მიიღოთ ისინი ისე-  
თებად, როგორებიც არიან, მიუხედავად იმისა  
იცნობთ თქვენ ბავშვს თუ არა. ერთმანეთთან  
ბავშვები ურთიერთობენ ტელეპატიურად ისევე  
სრულფასოვნად, როგორც შენ ურთიერთობ  
ერთ რომელიმე ბავშვთან და შენც ზუსტად  
ისეთივე ურთიერთობა გაქვს პლანეტის ყვე-  
ლა დანარჩენ ბავშვებთან, თუმცა ამას ვერ  
აცნობიერებ. ამიტომ, თუ ერთ რომელიმე ბავ-  
შვთან შედისარ კონტაქტში, ამით შენ ყველა  
ბავშვთან ამყარებ კავშირს. გიყვარს ერთი  
ბავშვი, მაშასადამე გიყვარს ყველა ბავშვი. თუ  
ერთ რომელიმე ბავშვს არ დებულობ, მაშასა-  
დამე არ დებულობ არც ერთს, და რა თქმა

უნდა, რომ ბავშვებთან ერთად თვით ღმერთსაც. იმიტომ რომ კრისტალები ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი იციან, იმიტომ ვერ გაექცევი მათ ისევე, როგორც ვერ გაექცევი ღმერთს და საკუთარ თავს.

თუ ბავშვი რადაცას გთხოვთ, საჭიროა ყველაფერი გააკეთოთ ისე, როგორც იგი ითხოვს ამას, რადგან იგი უბრალოდ როდი გთხოვს, არამედ იგი ამით რადაცას განიშნებთ, რადაცას გიჩვენებთ. მიჲყევით მას კვალდაკვალ, ნურაფერს დაუშლით, გააკეთოს რაც სურს. ნუ აუკრძალავთ მას ამ ქვეყნის ცქერით ტკბობას, უჩვენეთ მას იგი, მისთვის ხომ ყველაფერი სიახლეა. მართალია ეს თქვენთვისაა მოსაბეზრებელი, მაგრამ ყოველივე ეს პირველად ხდება მის ცხოვრებაში. მიუშვით იგი, დაე იჯეროს გული თამაშით. თუკი თქვენი თვალსაზრისით რადაც აბსულდულია მის თამაშსა თუ საქციელში, აუხსენით მას ის, თუ რატომ არ დირს ამის გაკეთება და ბავშვი ამას მიხვდება, ყველაფერს იგრძნობს. ამიტომ იგი უარს იტყვის თავის საქციელზე, თუკი დანამდვილებით დაუმტკიცებთ მას თქვენს აზრს.

არასოდეს განახორციელოთ ზეწოლა ბავშვზე, მათი ძალა თვით ღმერთის ძალაა, ამი-

ტომ ნუ ეთამაშებით ღვთის ძალას, რამეთუ შედეგები შესაძლოა თქვენს სასარგებლოდ არ დასრულდეს.



ბავშვი თქვენთან გულით ურთიერთობაში შემოდის. გისაც გული გახსნილი აქვს სიყვარულისათვის, მხოლოდ ის შესძლებს ბავშვთან ერთმოთლიანობას და აღარ დაგჭირდებათ ბავშვთა ფსიქოლოგები, რადგან თქვენი ბავშვი თქვენი პირადი ფსიქოლოგია. თქვენს თვალწინ ჭეშმარიტი სულის მკურნალია. მიუჯექით გვერდში, მოეხვიეთ, აკოცეთ, უთხარით მას, რომ იგი ყველაზე კარგი და ყველაზე ძვირფასია თქვენთვის, რომ იგი თქვენი განძია, თქვენი მზე და მთვარე ერთდროულად. უთხარით, თუ როგორ აფასებთ მას, როგორ გიყვართ და

რა საყვარელია თქვენთვის. მშობლები წარა-  
მარა უნდა ეუბნებოდნენ ამას საკუთარ ბავ-  
შვებს: ჩვენ გვიყვარხარ, რა კარგია, რომ შენ  
გვყავხარ. და თქვენ დაინახავთ, რომ ყველაზე  
ძვირფას საჩუქარს იგი თქვენთვის გააკეთებს,  
თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ იმას, რასაც  
ის გააკეთებს თქვენთვის. თქვენს გვერდში  
თავის ყოფნით იგი გამშვიდებთ, საკუთარი  
სინათლით გასუფთავებთ თქვენ. იმას, რასაც  
იგი ყოველთვის აკეთებს, ასევე ყოველთვის  
როდი იგრძნობთ, თუკი თქვენი მეოთხე ჩაკრა-  
მი, სიცოცხლისადმი სიყვარულის ჩაკრამი,  
ღმერთის ჩაკრამი, — ანუ გული, — ჩაკეტილია.  
რაც მეტად რთული ურთიერთობა გაქვთ ბავ-  
შვთან, მით უფრო ძლიერად ხსნის იგი თქვენს  
გულს და აღვიძებს მას. თუკი ჩაკრამი გახ-  
სნილი გაქვთ, მაშინ ბავშვთან ურთიერთობის  
პრობლემაც არ გექნებათ. თქვენ უბრალოდ  
ხარობთ იმით, რომ ასეთი საოცრება გყავთ.

### როგორ უნდა გავუგოთ ბავშვებს?

უპირველესად ყოვლისა საკუთარი თავი  
უნდა შეიყვაროთ, უნდა შეიყვაროთ ღმერ-  
თი საკუთარ გულში, უნდა შეიყვაროთ მთე-  
ლი სამყარო. საკუთარი თავის სიყვარულით  
თქვენ შეიყვარებთ ადამიანს და ადამიანებს

შეუყვარდებით თქვენ. სიყვარულის ამ ენერგიის დაღოცებით იხსნება გულის ჩაკრა-  
მი. თქვენ თქვენს ირგვლივ ყველაფერს შეიფ-  
ვარებთ და მაშინ მიხვდებით, რომ თვითონ  
საოცრება ხართ. თუკი დაგთაებრივი ჩაკრამი  
ჩაკეტილია, მაშინ ძნელი იქნება ამის მიღწევა  
თქვენთვის, თქვენი მეორე ნახევარისათვის და  
ბავშვისათვის. ბავშვი მხოლოდ მაშინ იზრდე-  
ბა ჯანმრთელი და ბედნიერი, როცა მას არ  
აკლია სიყვარულის, სიკეთის, სიხარულისა  
და ბედნიერების ენერგიები. იგი ის ხეა, რო-  
მელიც წყლისა და მზის ენერგიებს საჭიროვ-  
ბს (ქალის ანუ დედამიწის ენერგიას, კოსმიურ  
ანუ მამის, დაგთაებრივ ენერგიას).

ყველაფერი მხოლოდ საკუთარი თავისადმი  
სიყვარულით იწყება, და კიდევ: ბავშვი ყო-  
ველთვის უნდა წაახალისო, შეაქო ამა თუ იმ  
დირსებისათვის. რაც არ უნდა ჩაიდინოს, შე-  
დით მასთან ურთიერთობაში და გამოარკვიეთ  
საქციელის მიზეზი, რათა მიხვდეთ, თუ რას  
გაუწყებთ იგი თავისი ამ საქციელით, არადა  
იგი თქვენს საკუთარ თავს მიგანიშნებთ. ის  
სარკეა თქვენი, დააკვირდით საკუთარ თავს  
ბავშვის მეშვეობით და თქვენც ყველაფერს  
მიხვდებით. ნახეთ თუ რისი თქმა უნდა  
ბავშვს თქვენთვის და მადლობაც არ დაგავიწ-

ყდეთ უთხრათ მას დახმარებისათვის. ნების-მიერ მდგომარეობაში მიიღეთ იგი და თქვენ მიხვდებით იმას, თუ რა ბედნიერებაა იყოლიობავშვები.

### რა უნდა გაკეთდეს საბავშვო ბალებში?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, როდესაც ბავშვი თვითონ აირჩივს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს იმ წუთში. რადგან ბავშვის ყურადღება იოლად იფანტება, იგი სწრაფად იცვლის საქმიანობას. თუ კი ბავშვს რაიმე მოეწონება იგი საათობით ითამაშებს ერთსა და იგივეს. ამ დროს ყველაფრის დანახვაცა და მიხვედრაც შეიძლება იმის შესახებ, თუ რა ამოცანის შესასრულებლად მოევლინა იგი ამ ქვეყანას. ირჩევს რა საყვარელ საქმიანობას, იგი თავის გზას ირჩევს ცხოვრებაში. იგი იმ გზით ივლის და უზარმაზარ სარგებლობას მოუტანს ოვაროც პლანეტას, ასევე კაცობრიობასაც, თუკი ის თვითონ დაადგება თავის გზას და არა მშობლების დარიგებით. რაც ბავშვს უნდა, ის გააკეთეთ. ნუ მოარგებთ ბავშვებზე შაბდონებს, პროგრამებს, რამეთუ მათ თავიანთი სისტემები აქვთ, სიცოცხლის თავიანთი პროგრამა. ნუ აიძულებთ აკეთონ ის, რისი გაკეთებაც

არ სურთ. ეს მათი არჩევანია, დაუტოვეთ მათ არჩევანის უფლება. თქვენც მშვიდად იქნებით ფსიქოლოგიურად და ბავშვიც დიდ ბედნიერებას მიიღებს ცხოვრებისაგან. მხოლოდ მოუსმინეთ ბავშვს და ენდეთ მას. ბავშვი არც ერთ მოძრაობას არ აკეთებს უაზროდ. მიეცით მას საშუალება ჩაწვდეს საკუთარ თავს. ეს უკვე ნამდვილი ბედნიერებაა. საჭიროა მხოლოდ მის მფარველ ანგელოზად გახდომა.

მინდა მაგალითისათვის აღზრდის იგავი შემოგთავაზოთ ბედნიერი ბავშვობისათვის და ამ იგავს ეწოდება “ანგელოზი”:



დაბადებამდე ერთი დღით ადრე ბავშვი ეკითხება დმერთს:

— ამბობენ, რომ ხვალ მე დედამიწაზე გამაგზავნიან. როგორ უნდა ვიცოცხელო იქ, მე ხომ ასე პატარა და დაუცველი ვარ?

— მე გაჩუქებ ანგელოზს, რომელიც გელო-

დება და იზრუნებს შენზე.

ბავშვი დაფიქრდა, შემდეგ ისევ თქვა:

—აქ, ზეცაში, მე მხოლოდ ვმღერივარ და ვიცინი, ჩემი ბედნიერებისათვის ეს სავსებით საკმარისია.

ლმერთმა უპასუხა:

—შენი ანგელოზი გიმდერებს შენ და შენ-თვის გაიღიმება, შენ იგრძნობ მის სიყვარულს და ბედნიერი იქნები.

—ო! მაგრამ როგორ გავუგებ მას, მე ხომ მისი ენა არ ვიცი? — იკითხა ბავშვმა და თვა-ლებში ჩახედა გამჩენს:

—თუკი მომინდება შენთან საუბარი, რა უნდა გავაკეთო მე?

ლმერთი ალერსით შეეხო ბავშვს თავზე და თქვა:

—შენი მფარველი ანგელოზი ასე შეაერთებს შენს ხელის გულებს და გასწავლის ლოცვას.

ამის შემდეგ ბავშვმა იკითხა:

—მე გამიგია, რომ დედამიწაზე არსებობს ბოროტება. ვინ დამიცავს მე?

—შენი ანგელოზი დაგიცავს შენ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად.

—მე ძალზედ მოვიწყენ, რადგან ვეღარ გნა-ხავ შენ...

—შენი ანგელოზი ყველაფერს გიამბობს ჩემზე და ჩემსკენ დაბრუნების გზასაც გასწავლის. ასე რომ მე ყოველთვის შენს გვერდით ვიქნები.

ამ დროს დედამიწიდან ხმა მისწვდათ და ბავშვმა საჩქაროდ იკითხა:

—ლმერთო მითხარი, რა პქვია ჩემს მფარველ ანგელოზს?

—მის სახელს მნიშვნელობა არა აქვს, უბრალოდ შენ მას დედას დაუძახებ!..

და კიდევ: დაეკითხეთ ბავშვებს, რისი გაკეთება სურთ ამჟამად? ბავშვი ცხოვრობს ამ წუთში და აქ, და ეხლა. და იგი თვითონ იტყვის, რა სურს მას, რადგან ცოტა ხანში მას სხვა თამაში მოუნდება. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ სიცოცხლეა! თამაში, — ზრდასრული ადამიანის მინიატურაა. ბავშვი თამაშით დებულობს ცხოვრებაში ზრდასრულთა აქტიური არსებობის ჩვევებს. როცა თამაშობს, სათამაშოებთან ერთად იგი იმ სიტუაციებს ქმნის, რომლებსაც მომავალში ზრდასრულის სახით გაივლის და შექმნილი სიტუაციიდან იპოვის გამოსავალს. იგივე აზრი აქვს ზღაპრებსაც. ბავშვს ახსოვს: საიდან მოვიდა, რა მისია აკისრია... ამიტომ თქვენი ამოცანაა დაეხმაროთ მას საკუთარი თავის გახსენებაში. მიეცით საშუალება მეტი ითამაშოს, გამოკითხეთ თუ რისი კეთება მოსწონს და რატომ. ისწავლეთ ბავშვთან ურთიერთობა და თქვენ უკეთესად ამოიცნობთ საკუთარ თავს.



## რას ასწავლიან ზღაპრები ბავშვებს

უთხარით პატარას, რომ ზღაპარი სიბრძნეა, სამყაროს შეცნობის გზაა, ამ სამყაროში საკუთარი ადგილისა და საკუთარი თავის გამოცნობის საშუალებაა. ისიც უთხარით, რომ ზღაპრები საკრალურ ცოდნას აწვდიან ადამიანებს, რომ ზღაპრებში დიდი სიბრძნეა ჩადებული. ზღაპრები სუფთად და გულით

ცხოვრებას გვასწავლიან, თუკი გულს მოვუს-  
მენთ, გვასწავლიან პატიოსნებას, სინდისს.  
ისინი თანაგრძნობას, სიყვარულსა და სიბ-  
რძნეს გვასწავლიან, საკუთარი თავის მიღე-  
ბას, დმერთის აღიარებას და მისი დახმარების  
არსებობას. ზღაპრებში არსებობის უამრავი  
საკითხი იხსნება: როგორ ვიპოვოთ დმერთი  
საკუთარ თავში, როგორ მოვძებნოთ გზა სა-  
კუთარი თავისაკენ, როგორ დავბრუნდეთ შინ,  
— საკუთარი სულის ტაძარში!

### როდის დავიწყოთ ზღაპრების კითხვა?

ზღაპრების კითხვა ნებისმიერ დროს შეიძლე-  
ბა დამოუკიდებლად იმისაგან, გყავთ ბავშვები  
თუ არა. ზღაპრებში ხომ საუკუნეთა ლვთაებ-  
რივი სიბრძნეა ჩადებული. ისინი ჩვენი ნების-  
მიერი მომენტისათვის გამზადებული ხელ-  
შემწენი არიან. დასვით შეკითხვა, ითხოვეთ  
დახმარება, და გადაშალეთ ზღაპარი ნების-  
მიერ გვერდზე და პასუხსაც ამოიკითხავთ.

ზღაპრებს სულ უნდა კითხულობდეთ, იმ  
დროსაც კი, როდესაც ბავშვი მუცლად არის.  
ზღაპრების კითხვა ბავშვებისათვის სრული-  
ად აუცილებელია. ზღაპრების წაკითხვისას  
პკითხეთ ბავშვს რომელი გმირი მოეწონა და  
რომელი არა, და რატომ. ბავშვი ყველაფერ

ამას აგიხსნით და თანაც მეტად მომხიბვლე-  
ლად, ოღონდ ყურადღებიან მსმენელად უნდა  
გადაიქცეთ. ბავშვის მოსმენას ცოდნა უნდა.  
როგორც იტყვიან: ყურების მქონე – გაიგებს,  
თვალების მქონე იხილავს. ზლაპრის მოს-  
მენისას ბავშვი თავს გმირად წარმოიდგენს,



გმირად, რომლისგანაც სწავლობს ცხოვრე-  
ბას, სწავლობს საკუთარი გულის მოსმენას  
და მასში დმერთის ხმის ამოცნობას. ნუ მოა-  
ცილებთ ბავშვს დმერთს, თორემ დაბრუნება  
დიდ ხანს გასტანს და თანაც დაბრუნება,  
შესაძლოა, სნეულებასთან იყვეს დაკავშირე-  
ბული. გახდით ბავშვის მეგობარი ყოველთვის  
და ყველაფერში, და თუკი გთხოვთ, დაეხმა-

რეთ კიდეც, თუ არა და არ ჩაერიოთ მის საქმეში, რადგან ურთიერთობას გააფუჭებთ. ბავშვი – ეს პაწაწინა “დიდი კაცია”. თუ ბავშვი გიყვართ, თქვენ საკუთარი თავიც გიყვართ, ოდესლაც ჩვენც ხომ პატარები გიყვავით და ასეთებად ვრჩებით მუდამ. ოღონდ ჩვენ ეს გვავიწყდება როცა დიდები ვხდებით. ჩვენ ხომ დგთის შვილები ვართ და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. დმერთი მარადიული ცვლილებაა, იგი ყველაფერია, ბავშვიც და დიდიც. დმერთი ხომ ბავშვის თვალებშია! აბა კარგად ჩახედეთ მათ თვალებში!

და კიდევ, არასოდეს შეპირდეთ ბავშვს ის, რისი ფიზიკური შესრულებაც არ შეგიძლიათ. ბავშვი ყველაფერს გრძნობს, იგი გენდობათ თქვენ და ამიტომ ელოდება სიტყვის შესრულებას. არ ჩაკლათ მასში თქვენდამი ნდობა, ნდობის დაბრუნება ძალზედ ძნელია მერმის. თუ შეპირდით შეასრულეთ კიდეც, არადა ნუ დაპირდებით. თუ თქვენ დაურეკეთ და უთხარით, – ზოოპარკში წავიდეთო, – და არ შეასრულეთ სიტყვა, მაშინ არც ის გაგიკვირდეთ, რომ ყოველი ამგვარი ტყუილით ბავშვი ნელ-ნელა დაგცილდებათ თქვენ და მისი დაბრუნება უკვე ძნელია. იგი შეიძლება ისე ჩაიკეტოს, რომ მხოლოდ მაშინ გაიხსნება, როცა

ცხოვრებიდან წასვლას დაპირებს და მაშინ  
მეტად დამძიმდებით თქვენც და სხვა ყველა  
თქვენს ირგვლივ. იცხოვრეთ იმით, რითაც შე-  
გიძლიათ, რისი გაკეთებაც ხელგეწიფებათ,  
რასაც მიწვდებით და არა “ხვალ” და “აბა  
ვნახოთ რა იქნება...” და მრავალი ასეთი რამ,  
რადგან “ხვალ” და “მერე” ყველაფერი სხვა-  
გვარად იქნება. თუკი ეხლა შეგიძლიათ ყუ-  
რადღება გამოიჩინოთ ბავშვის მიმართ და  
ბავშვიც მზადაა და სიხარულით მოგყვებათ  
თქვენ, —იმოქმედეთ, თქვენ ხომ ორივე მზად  
ხართ ბედნიერებისათვის. თუკი იმას გააკეთე-  
ბინებთ რისი გაკეთებაც ან თქვენ ან ბავშვს  
არ მოგწონთ, ყველასათვის ცუდი იქნება. დაი-  
ჯერეთ, ეს ასეა.

ბავშვს უნდა ენდოთ, მიუტევოთ, გაანდოთ  
თქვენი საიდუმლოებანი, მოუყვეთ საკუთარ  
თავზე. ბავშვს ძალიან აინტერესებს ის, თუ  
როგორი იყავით თქვენ ბავშვობისას. “იცი...”  
უთხარით მას, და დაიწყეთ თქვენი ბავშვო-  
ბის თხრობა. ნუ გაებუტებით ბავშვებს უკვე  
დავიწყებული შეცდომისათვის. ბავშვი ხომ  
ყველაფერს გრძნობს. უბრალოდ: გიყვარდეთ  
იგი და არა ის, რომ მიიბათ და უთქვენოდ  
ველარც კი ძლებდეს. იყავით თავისუფალი სა-  
კუთარ სიყვარულში, მიიღეთ მისი სიყვარული,

მისი ჩახუტება, ალერსი... იგივე აჩუქეთ მასაც. სიყვარულში სიძუნწე არ არსებობს. ბავშვის გული ყოველთვის გახსნილია და მიეცით საშუალება გამოავლინოს საკუთარი თავი, გაიხსენეთ საკუთარი პატარაობა. წაუკითხეთ ზღაპრები, ზღაპრებით ის იხსენებს საკუთარ თავს, მისიას და ირჩევს გზას. მიეცით მას საშუალება გამოავლინოს საკუთარი თავი, მიეცით თავისუფლება და დააფრთიანეთ. მან იცის ეს ცხოვრება, მას საკუთარი სულით სურს მისი დანახვა, ანუ დმერთის თვალებით მისი დანახვა. როცა ყვირის, დახმარების უფლებას ითხოვს. მიეცით საშუალება დაგეხმაროთ და თქვენ დაინახავთ რა შეუძლია თქვენს პატარას. ის ხომ თქვენი ციცინათელაა, მას ხომ უყვარსართ, ის ხომ დგთის გულიდან გეწვიათ თქვენ. მადლობა შესწირეთ მას ყველაფრისათვის, დალოცეთ და სთხოვეთ დალოცვა, გაუმხილეთ, თუ როგორ გჭირდებათ ის თქვენ, მადლობა უთხარით რომ ასე უყვარსართ, იმისათვისაც, რომ იმ წუთში ის თქვენთანაა, თქვენს გვერდში... ისეთად მიიღეთ ის, როგორიც არის. ელაპარაკეთ მას და ისწავლეთ მისი სიბრძნე, მისი თვალების სიბრძნეში ჩაიხედეთ. ენდეთ, სთხოვეთ რჩევა, დახმარება. მიჰყევით ბავშვს, ისინი ჭეშმარიტებასთან

მიგიყვანთ, იმასთან, რაც თქვენ გჭირდებათ  
იმ მომენტისათვის. როცა ბავშვს მადლობას  
ეუბნებით დახმარებისათვის, თქვენ თვით მა-  
მაზეციერს ეუბნებით მადლობას, — ბავშვი  
ხომ დმერთია.



მოუარეთ ბავშვებს და  
ცელქობისთვის ნუ დასჯით.  
თქვენი საქმის ჩაგარდნას  
მათ ნუ გადააპრალებთ.  
მართლა ნუ უჯავრდებით,  
გინდაც მართლაც გაჯავრდეთ,  
მათ წამწამზე ცრემლები,  
ძვირი რომ არ დაგიჯდეთ...  
თუკი დაიქანცებით

ისრე, — თავსაც ვეღარ წევთ,  
მაინც გაისარჯეთ და  
შვილებს მიუალერსეთ;

ჩაიხუტეთ, აკოცეთ...  
ხანმოკლეა სიცოცხლე...  
დრო ხომ სწრაფად მოძრაობს?!

უკან არ იხედება,  
და ბავშვების ბავშვობა  
სწრაფად გამოგეცლებათ:  
ოქროს ხანა, — ბავშვობა,  
სწრაფად დაუმთავრდებათ  
და დაზრდილი ბავშვები  
თავ-თავის გზას გაჰყვება,  
და... კერა დაობლდება...

გულის ტკივილს გაუძლებო?!.  
ცარიელი კერია, მარტოობა...  
თითქოსდა

მართლაც დავრჩით ობლებად!  
...ვიდრე ბავშვი გულს გვითბობს  
რას მიქვიან დადლა და  
ბუზღუნი და მოწყენა...  
აბა ჩქარა, მოლხენა!  
მოდით გულში ჩაგიკრათ,  
ჩაგეხუტოთ, ჩაგაოცნოთ!  
...სადღაა დადლილობა?!  
ლამის ფრთები შეგვესხას

პაწაწინა თითების  
ასე ტკბილი კოცნისგან  
მათი ტკბილი ფერების  
ასე თბილი ლოყისგან!  
გეხუტებით... თქვენს სიყვარულს  
გული ვეღარ იტევს!  
გენაცვალე აზრით აღვსილ  
მე თქვენს თვალთა სხივებს!  
დმერთო!!!  
გული გამევსო,  
თითქოს შენზე ლოცვისგან...  
დარდი მერეც გვეყოფა  
ჩვენი მარტოობისგან...  
ეხლა მოდით ვიცინოთ, —  
ყველას გეალერსებით  
თქვენ კი შემოგევლებით,  
ყველას გენაცვალებით!

უბრალოდ უნდა იცხოვროთ, მხოლოდ გახ-  
სნილმა გულმა იცის ყველაფერი. გახსე-  
ნით გული, გაეცით სიყვარული, დიმილი და  
დაიბადება ახალი სიყვარულით აღვსილი თაო-  
ბა და ეს თაობაც, მეექვსე რასა, უკვე მოვიდა.  
მე მიყვარხარ შენ, ჩემო ლამაზო კაცობრი-  
ობავ. გახდით ბავშვები და მაშინ შეხვალთ  
ცათა სასუფეველში!

## ბავშვები წერენ ღმერთს

ეს წიგნი შემთხვევითი როდია. მისი გმირები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და არ უწყიან იმას, რომ ისინი ჩვენი პლანეტის სული და გული არიან, მთელი კაცობრიობის ხატება, მისი სარკე და კამერტონი. მათ საკუთარი სამყარო აქვთ. განსაკუთრებული სამყარო, რომელსაც ჩვენ, დიდები, სულ უფრო და უფრო ვცილდებით და უკან მოხედვასაც ვერ ვასწრებთ. რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო გაუგებარია ჩვენთვის მათი ქვეყანა, – ბავშვობა! ბავშვებს კი საკუთარი წარმოდგენები აქვთ სიკეთესა და ბოროტებაზე, ლირსებასა და უდირსობაზე, ადამიანთა დირებულებებზე: მათ თავიანთი საზომი ერთეულები გააჩნიათ – ისინი “შენ”–ობით მიმართავენ ღმერთს.

აი როგორ ესაუბრებიან ისინი თვით მამაზეციერს!!!

\*

\*

\*



გამარჯობა უფალო. როგორა ხარ? როგორ  
მიდის შენი საქმეები? ხომ კარგად ხარ?  
ორი წლის გოგონა

შენ თუ ქვეყნის აღსასრულს მოიტან, მაშინ  
გინდა ილოცებს შენთვის?

მეოთხე კლასელი ბიჭი

სად გადადის დრო? ჭაღარაში?

მესამე კლასელი გოგო

ადამიანები ასე იტანჯებიან ამ დედამიწაზე  
და შენს ჯოჯოხეთში ნუთუ ამაზე უარესია?

მეოთხე კლასელი ბიჭი

დმერთო, მე მესმის, რომ ჩემს მშობლებს  
ჩემი თავი წერომ მოუტანა, მაგრამ წეროსათ-  
ვის ვინ გვაკეთებს ჩვენ?

მესამე კლასელი ბიჭი

თუ კი ჩვენ ყველანი და-ძმანი ვართ, მაშინ  
რატომ თხოულობენ და თხოვდებიან ადამია-  
ნები?

მეოთხე კლასელი გოგო

რა ასაკიდან ითვლება ადამიანი ზრდასრუ-  
ლი? როცა ნემსების ადარ ეშინია, თუ როცა  
მზია მოწონს?

მესამე კლასელი ბიჭი

დემოკრატია მაშინ არის, როცა ზოგს  
ყველაფერი აქვს და დანარჩენებს კი რაც  
დარჩებათ?

მესამე კლასელი გოგო

ეს როგორ? ყველაფერი დვთის ნებაა?!  
ზაფხულზეც, დედას ავადმყოფობაზეც და  
ომზეც?

მეოთხე კლასელი ბიჭი

აი როცა ადამიანი ქვდება, ვინ არის ის,  
ვინც მას სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში რომ  
გადაუშვებს?

მესამე კლასელი გოგო.

ჩვენს პარკში ბუჩქები გადაკრიჭეს და ხეები  
გადაბეჭდეს. როცა ვიკიოთხე რატომ გააკეთეს  
ასე, მიპასუხეს, - უკეთ გაიზრდებიანო. გამო-  
დის, რომ თუ მე საპარიკმახეროში არ ვივლი,  
მე არც გავიზრდები, არც დავბერდები და არც  
მოგავდები?

მესამე კლასელი ბიჭი.

ქაი ბატონო, ქრისტე ხალხისათვის ეწამა,  
ხალხი ვისთვისლა იტანჯება?

მეოთხე კლასელი ბიჭი.

როცა დედამიწაზე ისვრიან, შენ რა, არ გეს-  
მის უფალო?!?

მეორე კლასელი ბიჭი.

რატომაა რომ ადამიანები ჯერ შეყვარე-  
ბულები არიან და მერე კი ჩუმად ტირიან?

მეოთხე კლასელი ბიჭი.

მე რომ მოვკვდები არც ჯოჯოხეთში მინდა,  
არც სამოთხეში, – შენთან მინდა.

მესამე კლასელი გოგო.

შენ გაქვს გონება, თუ მთლიანად სულისა-  
გან შესდგები?

მესამე კლასელი გოგო.

პირველებმა ხომ მამაკაცებმა იმშობიარეს,  
– აბა გაიხსენე ადამის ნეკნი და ევა! რატომ  
არ მოგეწონა ეს და მერე მთელი ტვირთი ქა-  
ლების მხრებზე რომ გადაიტანე?

მეოთხე კლასელი გოგო.

ბიბლიაში შენ გიწერია, რომ თავდაპირვე-  
ლად იყო სიტყვა. რომელი?

პირველ კლასელი ბიჭი.

ადამიანისთვის ხორცის ჭამა აკრძალულია,  
– და ქაბაბი?

მესამე კლასელი ბიჭი.

ღმერთო, შენ ჩემში ჩემი სული ჩადევი თუ  
სხვისი?

მეორე კლასელი ბიჭი

გამოდის რომ, თუ სწორად გავიგე ევოლუ-  
ცია, შენ ადამი და ევა შექმენი და მერე ადა-  
მიანი თვითონ წარმოიშვა მაიმუნისაგან?

მესამე კლასელი ბიჭი

დმერთო, თუ “სნიკერსი” მოვაკბეჩინე და-  
თოს, ეს სიყვარულია?

მესამე კლასელი გოგო

დღე რითი კვდება? სიბერისაგან?

მესამე კლასელი ბიჭი

რატომაა რომ ადამიანი წლების განმავ-  
ლობაში იზრდება და მერე, ბრახ და კვდება?

მეოთხე კლასელი ბიჭი

გასულ კვირას ჩვენს კლასში ახალი მოს-  
წავლე მოვიდა. ის ისეთია, ისეთი, რომ!... ასე  
რომ, გასულ კვირამდე ჩემი სიცოცხლის არც-  
ერთი დღე აღარ ჩამითვალო.

მესამე კლასელი გოგონა



მე მხოლოდ მოფერებას გეხვეწები.  
მეორე კლასელი ბიჭი

ძვირფასო ღმერთო, გთხოვ, ისე გააკეთო,  
რომ ბებიდან დაწყებული სპილოებამდე ყვე-  
ლა ბედნიერი იყოს, ნაჭამი და ყველას ახალი  
ფეხსაცმელი ეცვას.

მეორე კლასელი გოგო

ღმერთო, იმდენი სიცოცხლე მომეცი, რამ-  
დენიც ჩემს დედიკოს უნდა.

პირველ კლასელი გოგო

დმერთო, დამეხმარე, რომ მე მთელი სიცო-  
ცხლე კარგად ვისწავლო.

პირველ კლასელი გოგო

შენ შექმენი მიწა, ამიტომ ისე გააკეთე, რომ  
ადამიანებმა ვერ გაგიფუჭონ შენი დედამიწა.

მეორე კლასელი ბიჭი

მე ვინატრებდი, რომ ჩემს მშობლებს მეტი  
ჟკუა მისცე, – სულ არ ესმით ჩემი.

მესამე კლასელი გოგო

ისე გააკეთე, რომ მე კარგი “პოჩერკი”  
მქონდეს. მაშინ ნორმალურ საკონტროლოს  
დავწერ და შენთვისაც უკეთესი არა? შენ  
ხომ უკეთესად წაიკითხავ ჩემს წერილებს.

მეორე კლასელი გოგო

ისე გააკეთე, რომ ყველა ერთმანეთს უთ-  
მობდეს.

მესამე კლასელი გოგო

პატივცემულო უზენაესო, ისე გააკეთე, რომ  
ხელები და ფეხები სულ სუფთა მქონდეს.

მეორე კლასელი ბიჭი

ერთი ანგელოზი მაინც მაჩვენე ისე, რომ  
არავინ დაინახოს.

მეორე კლასელი გოგო

იმან შემიყვაროს, ვინც მომწონს, სამაგი-  
ეროდ მე ცოლად მოვიყვან.

მეორე კლასელი ბიჭი

აპატიე ყველას, ვინც მოუნათლავია და მეც.

მეორე კლასელი ბიჭი





## გულის ლოცვა

ეზეპიელ

ჩემო დედავ! ჩემო მამავ! ჩემო შვილო! ჩემო დმერთო! ჩემო წყალო, ჩემო ცეცხლო, ჩემო ჰაერო, ჩემო მიწავ. ჩემო ერთო და ერთთა ერთობავ! ჩემო მეფევ და ჩემო მსახურო! ჩემო ჭეშმარიტო გზავ და ჩემო სინათლევ! ჩემო სიცოცხლის ანკარა წყლის სათავევ! ჩემო სილამაზევ, ჩემო სიხარულო, ჩემო სიცოცხლევ! შენით ხარობს ყოველი ცოცხალი! ჩემო წერტილო და ჩემო უსასრულობავ! ჩემო

უძირო ტბავ და ჩემო უსასრულო ცავ! ჩემო  
გულო და გულის გულო! შენით იწყება ყოვე-  
ლი სიცოცხლე!

ნურასოდეს შეურაცხყოფთ გულს, რადგან  
ის არის ერთადერთი ორგანო სხეულში, რო-  
მელიც ვერ იტანს შეურაცხყოფას. გიყვარდეთ  
წრფელი გულით, ბავშვივით უმიზეზოდ და  
გყავდეთ ის მუდამ სიხარულის ჯავშანში და  
თქვენ იქნებით მარადიული!

მე გარ ეზეპიელ

\* \* \*



## ყველა საიდუმლოება

### არტურ კლარკი

გამომცემლისაგან: ვითარცა “დაღადი უდაბნოსა შინა”, ისე გაიუღერა ჩემთვის “ყველა საიდუმლოება”-მ და ეს დაღადისი აღარ მტოვებს არც ერთი წუთით. ასევე ჩემი მეგობრებიც მონუსხულან ამ საოცრებებით და მათ გამოთქვეს სურვილი, რომ ეს გაცხადებები იმ პატარა წიგნის სახით გამოგვეცა, რომელსაც ასე ვთქვათ, – უბის წიგნი ჰქვიან. აღვსილი მადლიერების გრძნობით, ვთხოვე ავტორს ამ საიდუმლოებათა ამ სახით გამოცემის უფლება, რაზედაც იგი დამთანხმდა.

ძვირფასო მეგობარო, თუკი ეს წიგნი შენს

გონებაში გააღვიძებს და გააღვივებს კიდეც  
“მე ვარ რომელიც ვარ” გრძნობას შენში,  
მიზანი მიღწეული იქნება.

## 1. მე ვარ

მე ვარ სიცოცხლე. მე ყოველ არსებაში  
გცოცხლობ და შთავაგონებ ყოველ საგანს  
ჩემი ნების განხორციელებას.

მე ამ გზავნილის ჩაწერის შთამაგონებელი  
ვარ, და იგი განკუთვნილია მათოვის, ვისაც  
მისი მიღება ძალუმს. ჩემთვის ცნობილია ყვე-  
ლა საიდუმლოება.

იმას, რაც ამ გზავნილით გეხსნებათ თქვენ,  
ფარული თუ საიდუმლო შინაარსი აქვს თან-  
დართული ნებისმიერი მკითხველისათვის.  
თუკი შენი გულის საიდუმლო სიღრმეებში  
ვერ იხილავ აქ დაწერილ გასაოცარ ჭეშ-  
მარიტებას, მერწმუნე, რომ შენს გონებას ვერ  
აუთვისებია ამ გზავნილის ჭეშმარიტება. თუ  
მიწიერი ბედნიერებისაგან თრთი და აღტაცე-  
ბაში მოდიხარ, მაშ როგორდა უნდა თრთოდე  
და ხარობდე ზეციური ბედნიერებებისაგან, მა-  
შინ როცა ამით შენი სისხლი უფრო სწრაფად  
ბრუნავს და შენ კი თავად ცრემლებსა დვრი

მიწიერი გრძნობებისაგან. მაშ რაოდენ უფრო სწრაფად აჩქეფდება შენი სისხლი, თუკი ჩემი ხელი შეეხება შენს გულს? არ შეგაშინოს სიცოცხლის სიტყვამ. იგი შემოგაცლის თვითკმაყოფილების საბურველს, იგი მოსპობს შენს



ერთგულებას, იგი დაგანახვებს შენ, რომ ყოველთვის მე გადანაშაულებდი ისე, რომ ვერც კი აცნობიერებდი ამას და ეს ძალზედ დაგამცირებს შენ. ნუ გეშინიან ამისა, რამეთუ შენ ჩემი ხარ. ჩემს გულში ხარ ჩახუტებული, თუმცა კი არ უწყი ამის შესახებ. შიში – ნდობის უქონლობაა. თუკი მე არ მენდობი, მაშ ვისდა უნდა ენდო? მამას, დედას, მმას, დას. თუმცა ისინიც ხომ ჩემს ნებას აღასრულებენ, რარიგადაც ანგარებიანი არ უნდა მოგეჩვენოთ თქვენ მათი

საქციელი. გეჩვენება შენ ის, რომ შენს ნდობას არ ამართლებენ ისინი შენს მიმართ, თუ ზედ-მეტს ითხოვენ შენგან, ვიდრე შენ შეგიძლია მათ მიანიჭო, ნუ განიკითხავ მათ ამის გამო. ისინი ჩემი ნების აღმსრულებლები არიან და შენ უნდა მოგიყვანონ ჩემთან სრული მორჩილებით. ნუ მეთაყვანები. შენს გულში არის ის, რაც ჩემი თანაარსია. თუ შენ ეთაყვანები დმერთს ან დვოთისნიერ ადამიანს, ან რაიმეს სხვას აქ, დედამიწაზე, თუნდაც ზეცაში ან გნებავს ქვესკნელშიც, შენ ამ დროს არც კი იცი, რომ მე მეთაყვანები. იდეალს ემსახურები? ის იდეალიც მე ვარ. უსაზღვრო სიყვარულითა სარ შეპყრობილი? ის სიყვარულიც მე ვარ და შენ აღარ გჭირდება სიტყვის მიმართ ნდობა. შენ შენსავე გულში გეცოდინება, რომ იმ სიტყვებში მე ვარ. მაგრამ განა გონებაც მე არ მოგეცი რათა ეძიო, გამოიკვლიო და უარპყო. არ შეგეშინდეს გონების გამოყენება. ეს მე მივანიჭე მას კითხვის დასმის, კვლევისა და უარყოფის ძალა. აქ შენ იმასაც ამოიკითხავ, რომ მე ყოვლისშემძლე ვარ და რომ ჩემი ნება სრულდება მუდამ. გაგიჩნდება აზრი, შეისწავლო ჩემი წმინდა წერა, ან იქნებ გაგიჩნდეს მისი უარყოფის სურვილი, ანდა კიდევ არ გამოიყენო ჩემი კეთილი რჩევები,—

იცოდე, რომ ერთიცა და მეორეც, და მესამეც შენდამი ჩემი გზავნილებია, რათა გიხმო შენ. ყოველთვის ის გეგზავნება, რაც მეტად მნიშვნელოვნად უდერს შენთვის. თუ შენ გეჩვენება, რომ ეს გზავნილი ჩემგან არაა შთაგონებული, მაშინ ნუდარ შეხედავ მას, როგორც ნაანდერძევს, რადგან გზავნილი ზუსტად იმას შეიცავს შენთვის, რაც მისგან ამოიკითხე. თუ შენ განრისხებული ხარ იმის გამო, რომ ჩემი სახელით ხდება ის, რაც ხდება, მაშინ იცოდე რომ განრისხება შენი ზეციურია და მე შთავაგონე იგი შენს გულს, რათა ჩემს ნებას მოემსახუროს. რასაც ვქმნი, სიკეთისათვის ვქმნი და სიკეთე შენდა, თუკი შენ არ მიიღებ ჩემს გზავნილს, – შენ მხოლოდ ჩემს ხმას უსმინე შენს გულში. მხოლოდ ჩემი ხმა ისმის ყოველ წმინდა წერაში, ყოველ სიტყვასა თუ ენაში. იქ, სადაც ჩემს ხმას ვერ იცნობ, მე იქ არა ვარ. ჩემი სიტყვა ის სიტყვაა, რომელსაც შენ წინ მიჰყევხარ ან ჩემს ფეხებთან მუხლებს მოგიყრის. ვცხოვრობ და მიყვარს შენს გულში მე. როდესაც ამბობ “მე ვარ”, ან “მე მიყვარს”, იცოდე რომ ამას მე ვამბობ. როდესაც ამბობ “მე მაქვს”, ანდა “მე ვფიქრობ” ამას შენი თვითგაცნობიერება ამბობს და თავისი სახელით ამბობს ამას, მაგრამ თვითგაცნობიერება

მოკვდება ყველა თავისი ნდომითა და სარწმუნოებებით, ყოველივე იმით, რაც მას ეკუთვნის და მე კი უკვდავი ვარ. შენ სხეული გაქვს, მაგრამ განა შენ სხეული ხარ. შენ თვითგაცნობიერება როდი ხარ, რადგან შენ ვერ განმარტავ იმას, თუ რა ხარ. მე პირველ საიდუმლოებას გიხსნი შენ: შენ – ეს მე ვარ. შენ ერთარსი ხარ ჩემი. ჩვენ ერთი ვართ. დიახ შენ, შენა ხარ დმერთების დმერთი, შემოქმედი, სამყაროთა შემოქმედი, საწყისი და სასრული, ყოვლის შემძლეობა, სიცოცხლის შერწყმის სამება: სიცოცხლე, ჭეშმარიტება და სიყვარული, რომლებიც შემოვიდნენ შენში და არსებობენ შენში. შენი სხეული – ტაძარია ჩემი; მასში მე ვცხოვრობ და მისი ძალით განვახორციელებ ჩემს ნებას. ოდეს დადგება ჟამი შენი, შენ იგრძნობ, რომ შენს გულში ჩემი მარადიული “მე ვარ” და “მე მიყვარს” მეტყველებს. აი მაშინ მიხვდები, რომ შენ ჩემი ხარ, რომ ჩემი ხმა ისმის შენი ბაგებიდან, რომ შენი გული აღვსილია დათაებრივი სიყვარულით და იმასაც მიხვდები, რომ მე ვცხოვრობ შენში. შენ შენი თავი ცალკე სულად მიგაჩნიან, მაგრამ შენ გახსნილ ზეცას იხილავ შენსავე გულში და მაშინ შეიტყობ, რომ მხოლოდ მე ვარსე-

ბობ და არა არს სხვა სული თუ სამშვინველი ჩემს გარდა. შენ ამბობ: “ვინა ვარ მე, თუკი დმერთი ერთია?” ამას შენ აღარასოდეს აღარ იტყვი, რამეთუ

საიდუმლო გაიხსნება შენთვის.



## 2. ყოველივე სიკეთეა

სხვადასხვა გზებით გატარე, რათა ჩემი საკადრისი სავანე გამხდარიყავი. თაობები თაობებს ცვლიდნენ და ყოველ მათგანში ახალი ძალა იბადებოდა და სისუსტეს კი რაღაც სცილდებოდა, — ეხლა კი შენ უკვე მზადა ხარ. ჩაწვდი და გაიცნობიერე თუ გსურს, რომ “მე” შენში ვცოცხლობ. სხვადასხვა გზებით გატარე, შენთვის დაძლევად სხვადასხვა

განსაცდელში გაგატარე, რათა მხოლოდ ჩემი სიტყვისა და ნების მორჩილი გამხდარიყავი. ჩაგრულთა კვნესის მიმართ მე გაგისასტიკე გული, ასევე მე გაცდუნე და ცოდვაშიც მე ჩაგაგდე (აპა შენ როგორ ფიქრობდი)?

მე არ გაწვდიდი აკრძალული ხის შხამიან ნაყოფს? (იმ ხისას, რომელსაც თქვენ სიკეთისა და ბოროტების ხეს ეძახით?) ყველაფერ ამას მე ვაკეთებდი, რითაც სხეულისა და სულის ისეთ თვისებებს გინვითარებდი, რომლებსაც შხამი უკვე ვეღარ ავნებდა. საუკუნეთა განმავლობაში ჩემი ხალხის სისხლი (საკუთრივ ჩემი სხეულებისა), იყო მოწამლული სიკეთისა და ბოროტების მცდარი წარმოდგენებით. მაგრამ თქვენ უნარი შეგწევთ თვალი გაუსწოროთ ამ შხამით შექმნილ ბოროტების ილუზიას და ამით ჩემს მეორე საიდუმლოებას ჩაწვდეთ. მეორე საიდუმლოების სიტყვები ცნობილია მრავალთათვის და მრავალი განახორციელებს სასწაულს ამ ცოდნის ძალით: უდიერად ნუ მოექცევით მათ, რამეთუ ამ სიტყვებით მრავალმა მოიშუშა წყლული, თუმცა ისე, რომ მათ ჭეშმარიტ დანიშნულებას მაინც ვერ ჩაწვდნენ. გულზე დაგაწერ ამ სიტყვებს: ყველაფერი სიკეთეა, და აი, ამაშია მეორე საიდუმლოება. იქნებ შენ გინდა თქვა, რომ

ამაში არავითარი საიდუმლოება არაა? მაგრამ შენ მხოლოდ მაშინ მიხილავ, ოდეს ჩაწვდები იმას, რომ ყველაფერი სიკეთეა. მე ღმერთი ვარ, ყოველ არსებაში ვცოცხლობ და ყველგან არსი ვარ. არ არსებობს უბედურებათა ისეთი ადგილი, სადაც მე არა ვარ. მე და მხოლოდ მე ვარ იქ და სხვადასხვა ხერხით ვზემოქმედებ ადამიანებზე. ყოველ მისწრაფებაში მე ვარ და არავითარ კანონს არ ვემორჩილები. ხომ არ გვინია შენ, რომ მე რომელიმე კანონს ვემორჩილები ან რომელიმე მიზნისაკენ მივისწრაფი? ან იქნებ ფიქრობ, რომ სხვაში ჩემი ნება ისე უნდა გამოვლინდეს, როგორც ის შენში გამოვლინდებოდა? შენში განსაკუთრებული მიდრეკილების მქონე გონება მაქვს ჩადებული და იგი განიკითხავს ჩემი ცხოვრების სხვაში გამოვლინებას. დიახ, მე ყოველნაირად მოგმართავთ თქვენ, რათა ყოველმან თავისებურად გამოავლინოს თავისი მორჩილება. რამეთუ ჩემს ნებას მორჩილებს ყოველი. როდესაც შენ ხედავ ჩემს ნამოქმედარს, და იგი არ ეტევა შენს ვიწრო იდეალებისა და მორალის შენეულ წარმოდგენებში, განა შენ შენს გულში არ ამბობ: “დათის ნება არ შეიძლება ასეთი იყოს”-ო. ანდა: “თუ ასეთია ნება დათისა, იგი არაა ჩემი ღმერთი-ო?” და მაინც სიკეთე

შენდა, რამეთუ უნდა იცოდე: მე ვცოცხლობ შენში და ამის თქმასაც მე გაიძულებ. ვიდრე შენ ჯერ არა ხარ მზად ჩემი “მე”-ს გამოსავლენად, შენთვის კარგია დაემორჩილო იმ იდეალებს, რაც შენ დასახე შენთვის. ვიდრე შენ არა ხარ განმსჭვალული შთაგონებითა და სიყვარულით, ვიდრე შენ ცდილობ შენი გულით დაადგინო სხვათა ცხოვრების წესი, რაც კეთილ ადამიანებად გარდაქმნის მათ (შენი გაგებით კეთილებად), ან მიიყვანო ისინი “მოვალეობისა” თუ “სიმართლისაკენ” (ისევ შენეული გაგებით), შენ იტყვი: განა შეიძლება, რომ ასეთი რამ დვოის ნებას წარმოადგენდეს?! და ამას იტყვი მაშინ, როდესაც ყოველ ჩემს ნამოქმედარს დაინახავ. მე სურვილები არა მაქვს, მაგრამ შენთვის ყველა ის სურვილი მომიცია, რომლებიც შენი გონების თვისებას ეხმიანებიან, ვიდრე შენ ჩემს დიდებაში შემოსასვლელად არა ხარ მზად. აკეთებ თუ არა შენ რაღაცას შენთვის თუ სხვებისათვის; გინდა შეიძინო მიწიერი სიკეთე თუ სათნოება; ან იქნებ სხვათა გამოსწორება გწადია; —ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში შენი სურვილები ჩემგან არიან აღძრულნი, რათა შენ (შენი სხეული) გაჯანსაღდე და სიცოცხლის სიხარული გამოხატო. აი, ეს სიხარული კი

უკვე მე ვარ და იგი ყოველგვარ ჟინზე მეტია. მე ვამართლებ ყოველივეს. დაე იყვეს ჟინი, ვიდრე შენი გონება არ გაზრდილა და შენ თვითონ ჯერ არ გაგიღვიძნია ჩემი დიდი “მე” – ს ცნობიერებისათვის: და როდესაც ეს მოხდება შენ შთაგონებასა და სიყვარულს დაემორჩილები.



### 3. ჯანმრთელობა

შენი სხეული – ჩემი საფანეა. ხომ არ იტანჯება იგი საზრუნავისა თუ სნეულებებისაგან, ან კიდევ იმედების გაცრუებისაგან? მაშ კარგად უწყოდე, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ

იარაღია სინდისისა და უინის ხელში.

მესამე საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ როგორც შთაგონება მეტია სინდისზე და სიყვარული კი მეტია უინზე, ასე ჩემი სრულყოფილი ნებაც აღემატება ყველაფერ იმას, რაც მავნედ ეჩვენება ჩემს რომელიმე არსებას (გინდა სხეულს). შენმა სხეულმა უნდა განიცადოს ყოველივე ის, რასაც მან უნდა გაუძლოს მაშინ, ოდეს წარმოითქმებიან შთაგონებისა და სიყვარულის სიტყვები, რომელთა ძალითაც შენ განიკურნები და შეიძენ ძალას განასივო ჩემი სრულყოფილი ჯანმრთელობა. თაობიდან თაობამდე ვძერწავდი მე შენს სხეულს და ვანვითარებდი მასში შეჯამების იმ თვისებებს, რომლებიც ეხმიანებიან მხოლოდ იმას, რაც შენი ზრდის ხელშემწყობია. შენ ალბათ მიპასუხებ: “მაშ, როგორდა მართლდება ყოველივე ეს გარდაცვალებულთა მიმართ?” მიუხედავად ყველაფრისა, ეს მათ მიმართაც მართებულია და შენ ამაში დარწმუნდები. მაგრამ შენ, ჯერ არ მოკვდები, რადგან ეს ამბავი გეხება შენ. გინდა მოერიდე მას, თუ გსურს, და იფიქრე იმაზე თუ როგორ განხორციელდება ეს სხვების მიმართ, მაგრამ იცოდე, რომ სიბრძნე მხოლოდ შენთვის მომიცია; სიკეთე შენდა, თუკი შენ საკუთარ თავს სრულპყოფ

და სხვებს კი მე დამიტოვებ. მე განვავითარე შენი სხეული: ამჟამად შენ მხოლოდ ნერვული ენერგიით იმართები, რომელიც ასევე ჩემი მოცემულია, რადგან მსურს, რომ იგი ჩემს ნებას ემორჩილებოდეს. დაემორჩილები შენ ჩემს ნებას თუ არა, იცოდე, რომ ჩემი ნება მაინც ვლინდება შენში. მაგრამ როდესაც დამემორჩილები და მთლიანად მე მიმენდობი, მაშინ შენში ჩაცხრება ნერვულ ენერგიათა და ძალთა ჭიდილი და შენი სხეული ჩემი შთაგონებისა და სიყვარულის გამოხატვის მორჩილი იარაღი გახდება. განკურნების ეს საიდუმლოება—მესამე საიდუმლოებაა. და მათ, ვისაც ჯერ არ შეუძლია მთლიანად მომენდოს მე, რადგან მათი სხეულები ჯერ არ მიმიყვანია განვითარების შესაბამის დონემდე, ამიტომ მათ ასეთი ამბავი გადაეცი: მთელი თქვენი ძალები ადგილს დაუთმობენ შთაგონებისა და სიყვარულის იმ სიტყვას, რომელსაც სხვისი ბაგეებიდან ეზიარებით. აი თურმე რამდენად ძლიერია შთაგონების სიტყვა, თუკი მისი ძალით სასწაულებს ახდენენ ისინიც კი, ვინც მე არ მიცნობს და მხოლოდ ამ სიტყვების ფორმულას იმეორებენ. ვარ თუ არა მე სამართლიანი, თუ კი ვაჩქარებ ერთ უპირატეს თვისებებს, სხვა თვისებათა შეყოვნების ხარჯზედ? განა კენ-

კრას ატამზე ადრე არ ვამწიფებ? ამით რა, მე უსამართლობას ვიჩენ ატმის მიმართ? ამიტომ გეუბნები შენ, რომ ვინც მთლიანად მომენდო მე და შეგნებულად განახორციელებს ჩემს ნებას, მოკრძალებულ მოცვს დაემსგავსებიან. და თქვენ, ვინც აღშფოთებულია ამ ნათქვა- მის გამო, ატამს დაემსგავსებით, რომელიც მოგვიანებით, მაგრამ სრულყოფილი სილამა- ზით მწიფდება, რაც ასე მიუწვდომელია მცი- რე ნაყოფისათვის, რომელიც ასე სწრაფად მწიფდება. ნუთუ ვერ შევძლებ პასუხი გავცე ყველა იმ შეკითხვას, რომლებიც მე შენს გო- ნებაში გავაჩინე? შენ რომ ასეთი კითხვა და- გესვა: “მაშ გარდაცვალებულები? აღწევენ კი ისინი სრულ განვითარებას?” და მე უპასუხოდ დავტოვებდი შენს ამ შეკითხვას? ჭეშმარიტად, მე ყველა შეკითხვაზე პასუხის გამცემი ვარ და სხვა ყოველ საიდუმლოებასაც გაგიხსნით. ეს საიდუმლოება მხოლოდ შენ გეხება. სხვა საიდუმლოებებს, სხვა დროს გაგიხსნი.



## 4. მკურნალობა

ნუ იფიქრებთ რომ სხვებზე მეტად ნეტარნი ხართ თქვენ, რომლებსაც მე მეოთხე საიდუმლოებას გაწვდით. თქვენით ვასხივებ მე ჩემს დიდებას და სიცოცხლეს ვჩუქნი სხვებს.

თქვენი გონიერის მეშვეობით მე სხვათა გონიებასა და ნერვულ სისტემას ვაცოცხლებ, და ვზემოქმედებ მათზე ჩემი ნების თანახმად, რათა ვაზიარო ისინი დიად მიზანს.

თქვენ, რომელნიც ეზიარეთ ამ მეოთხე საი-

დუმლოებას სხვებზე უკეთესნი როდი ხართ, და თუ მათზე ბედნიერად გეჩვენებათ საკუ-თარი თავი, თქვენი ბედნიერება იმაზე მეტს როდი მოგიტანთ, რაც სხვისთვის მოუტანია უბედურებას. ო, შენ, ბედნიერო იმით, რომ მეოთხე საიდუმლოების გასაღებს ფლობ, მე ამით შენ სხვანი ჩაგაბარე, რათა მოემსახურო მათ. ისინი შენსავით მომწიფებულნი როდი არიან, და ამიტომ შენგან ელოდებიან შვე-ლას. მაგრამ ვიდრე შენ ჩემი მკურნალობის ძალა არ შეგიძენია, ვიდრე შენ მტკიცედ ვერ გაგიცნობიერებია, რომ მე შენში ვარ და ჟენ ჩემში, და ვიდრე შენ არ გითქვია “მე მიყვარს”, რასაც ყოველთვის ვამბობ მხოლოდ “მე”, რო-მელიც შენში ცხოვრობს, მანამდე შენ მხო-ლოდ ჩემი ძალის საბრალო ანარექლი ხარ. ვიდრე შენ მე არ მიცნობ, კარგია რომ ბამავ იმას, რაც ჩემს თვისებად მიგაჩნია. თუ ეს ასეა, — ეს კარგია და თუ ეს ასე არაა — მაინც კარგია, რამეთუ მე ჩემს ნებას ეხლა განვა-ხორციელებ და შენ ჩემს დიდებას იხილავ. აი მაშინ, ოდეს შენი თვალთახედვა იმდენად გაძლიერდება, რომ შენ შესძლებ ჩემი ჭეშმა-რიტი ნათების ატანას, მაშინ ხომ არ იტყვი შენ; “დმერთი თუ ასეთ საქმეებს განახორციე-ლებს, იქნებ ჩემთვისაც მოიძებნოს მსგავსი

რამ?” დიახ, მე განვახორციელებ ყოველივე ამას, შენ კი ვალდებული ხარ განახორციელო შენი ყოფიერება და გაიზარდო ისე, როგორც მსურს რომ შენ გაიზარდო. როდესაც შენ აცნობიერებ იმას, რომ შენ არ შეგიძლია დარჩე ჩემგან დამოუკიდებელი პიროვნება, მაშინ შენ მთლიანად ჩამაბარებ შენს თავს, მე და აი მაშინ, ავიღებ მე შენს სხეულს და მისი მეშვეობით სხვათა მიმართ გამოვამჟღავნებ ჩემს სიყვარულს, რათა ჩემი სამკურნალო ძალის გამოსხივება შესძლო. შენ თავდავიწყებით უნდა გიყვარდეს, ჟინის გარეშე იმათ მიმართ, გინც გინდა რომ განკურნო, თუმცა ბევრისათვის სიყვარულის გაცხადებას ჟინის სახითაც ვიძლევი. ასეთი გაცხადება ლამაზმანთან ან ყმაწვილთან ნეტარების თრთოლვით მოდის და ეს ნეტარება მხოლოდ მაცნეა ჩემი სიხარულისა. შენ კი უფრო თავდავიწყებით, ჟინის გარეშე სიყვარულს გაგანდობ და უფრო მეტიც, საპასუხო სიყვარულის გარეშეც კი. თუ ის თავდავიწყება, რომელსაც მე ვაცხადებ, ბევრისათვის უკვე ცნობილია როგორც ნეტარება გულისა, მაშინ როგორი ბედნიერები იქნებიან ისინი, ვისაც საშუალება მიეცემა ჩემი ყოვლად სრულყოფილი სიყვარული გამოამჟღავნოს. ჩემი სიყვარულის ყოველი სხი-

ვი, — სამკურნალო ძალაა, რომელიც გულის სანუკვარ სიღრმეებში შედის და ახალ ნეტარ სიცოცხლეს აღვიძებს, რათა მემსახურო მე და ჩემი ცხოვრება და ჩემი სიყვარული გა-მოავლინო. მე მხოლოდ ერთს ველოდები: რო-დის იტყვი უარს ეგრეთ წოდებული სიკეთისა და ბოროტების შეცნობაზე და მთლიანად მე მომენდობი.



## 5. სიწმინდე

მე წმინდა ვარ. ჩემთვის ყველაფერი წმინდაა. მე მხოლოდ ხილულს როდი ვხედავ, რაც თქვენ უწმინდურად გეჩვენებათ.

ზედმეტად წმინდა ხომ არ არიან თვალები ჩემი, რომ უწმინდურს უცქირონ? ამასთან ერთად არსებობს კი რაიმე რაც უხილავია ჩემთვის? ამიტომ გავხსნი მესუთე საიდუმლოებას – სიწმინდის საიდუმლოებას. ყველას იმ სიწმინდეს ვანიჭებ, რომლის ჩატევასაც შეძლებენ. მთელი ჩემი სიწმინდის შეცნობას შენ ჯერ ვერ შესძლებ: შენ გმართავს ამ სი-

ტყვის ის წარმოდგენა, რომელიც შენ ჩაიტიქ. კარგია იყო ისეთი, როგორი წარმოდგენაც გაქვს სიწმინდის მიმართ მანამდის, ვიდრე მე არ გაგიხსნი ამ საიდუმლოებას. არ არსებობს ისეთი რიტუალი, რომელსაც თავმოყვარეობის უანგაროებაში გარდაქმნა შეუძლია.

თუ წმინდა წეს-ჩვეულებით, კურთხევის გარეშე, ფლობა ეგოისტურად მიგაჩნია, ნუთუ ამგვარად გამოვლენილი ეგოზმი, როდესაც იგი კურთხეულია, ამართლებს მას მსოფლიოს თვალში? აი ამაშია მეხუთე საიდუმლოება. განა ამით მცნებას შთაგაგონებ? არა, მაგრამ მცირე სიხარულიდან დიდი სიხარულისაკენ მოგიწოდებ. თუ შენ ტკბები იმით, რომ სხვისი სიყვარული დაიმსახურე, — კარგია, კარგია ისიც, თუ სხვას შენს მიმართ ვალდებულებებით დატვირთავ, ვალდებულებებით რომელთა დაცვას შენ თვითონ არც კი აპირებ. მაგრამ შეისმინე სიტყვა ჩემი, რომელიც მოგარიდებს ამგვარ ტკბობას. შენი სხეული, — ჩემი ტაძარია. განა ჩემი ცეცხლოვანი დიდებით არ გავაძრწყინებ მე მას? ან იქნებ შენ ფიქრობ, რომ შენი დახმარების გარეშე ვერ შევინახავ მის სიწმინდეს? ებრძოლე რამდენიც გინდა იმას, რაც შენ უწმინდურად მიგაჩნია: ბრძოლა ამაო როდი იქნება; იგი შენში ძალას განავითარებს

და თვალი შენი არ დაიბინდებიან, ოდეს  
გაგიმხელ რომ ყველაფერი წმინდაა, შენ ხომ  
უწმინდურად მიგაჩნია ქალის მამაკაცისადმი  
ცნობილი გრძნობა, სადაც და როგორადაც  
არ უნდა გამომჟღავნდეს იგი.

თავდავიწყებითი სიყვარული, გინდაც უინის  
გარეშე, შენთვის უწმინდურია, — ვერაფერი  
ვერ შეურაცხპყოფს სხეულს, რომელ შიდაც მე  
ვბინადრობ. ნუ შეგეშინდება ყოველივე იმისა,  
რასაც შენი გონება გარე შთაბეჭდილებისა-  
გან დებულობს, რამეთუ მე ვბინადრობ შენში.  
გაგაფრთხილეს თუ არა შენ სხვებმა, რომ თავი  
მოარიდო გარკვეულ აზრებსა და საქციელს?  
შეისმინე კეთილი ჩაგონების ხმა, ვიდრე მე  
არ გავიხსნები შენში, რამეთუ ისინი, სხვანი,  
ვინც სიკეთეს ჩაგაგონებს, ჩემი მსახურნი არი-  
ან, ჩემგან შენდა სასიკეთოდ გამოგზავნილნი,  
ვიდრე შენ ამ საიდუმლოებას არ ეზიარები.  
გაქვს თუ არა შენ საზომი, ან აზრთა სიწმინ-  
დის დაცვის წესები, ისევე როგორც საქციელ-  
თა და სიცოცხლის სიწმინდის წესები? ისინიც  
ჩემგანაა და გეგზავნება ზემოქმედების შენზე  
დასაჩქარებლად, მხოლოდ კი ნუ იფიქრებ,  
რომ ისინი, შენს გარდა, სხვებს სჭირდებათ,  
რადგან ყოველი სხვადასხვა ზომებს დებუ-  
ლობს მისდა საჭიროებებისა და მოთხოვნილე-

ბების შესაბამისად. ისინი სხვებისათვის ისე-  
ვე სასარგებლოა, როგორც შენი დარიგებანი  
შენთვის: ყველას თავისი ეძლევა. და თუ შენ  
შენი სიმართლის ქადაგებას დაიწყებდი, შენი  
ქადაგება იქნება მათ ცხოვრებაში ჩარევა, იმ  
წესებში ჩარევა, რომლებიც მე მათ დავუწესე.  
მაგრამ ნუ გეშინია შენი სიმართლის ქადა-  
გებისა, თუ შენ ასე გინდა, რადგან ასეთ ქა-  
დაგებას მე შენს სასარგებლოდ შემოვაქცევ-  
დაამყარე სხვებთან კავშირი რათა საზოგა-  
დოებრივი ცვლილებები გაატაროთ, შენს  
შეურაცხმყოფელებს უჩივლე სასამართლოში  
და ედავე მათ, თუ გინდა. ყოველ ასეთ დავა-  
სა და დევნას მე ჩემი ნების შესრულების  
იარაღად გარდავაქცევ. ამასთან ერთად ისიც  
იცოდე, რომ ვისაც შენ დევნი, ასევე ჩემი  
ნების შემსრულებლები არიან. ილოცე ბეჯი-  
თად, თუ გინდა რომ გარკვეული პირობები,  
რომლებიც ასე გძაგს, შეიცვალონ. ამ მიზანს  
შენს თანამოაზრებთან ერთად უნდა მიაღ-  
წიო, თუკი ფიქრობთ, რომ ასე უპერესი იქნე-  
ბა. შეგიძლია იამაყო კიდეც იმით, თუ რაოდენ  
მნიშვნელოვანია შენი როლი ასეთ ბრძოლაში.  
მე შენთან ვიქნები მაშინ, როცა ილოცებ და  
მაშინაც, როდესაც ბრძოლაში ჩაებმები. და  
მაინც: იცოდე, რომ მე დავუშვი შენთვის ის

მიუღებელი პირობები, რათა მათ იმოქმედონ შენს გულზე და ყველა იმათ გულზეც, ვის-შიც ეს პირობები იწვევს აღშფოთებას და მე მათ სიწმინდედ გარდავაქცევ შენთვის. შენივე უმძიმესი გაუგებრობების დახმარებით, იმას, რასაც შენ სამარცხვინოდ მიიჩნევ როგორც შენი დროის, ქალაქისა თუ პირადად შენთვის, ყოველივე ეს შენი სიკეთისთვისაა გათვლილი. თუმცა მე მინდა, რომ შენ ყოველივე ამას ებრძოლო ისე როგორც მტერს, თუკი მტრად მიგაჩნია და აი, ამაშია ჩემი საიდუმლოება.

## 6. საჩუქრის საიდუმლოება

მეტვესე საიდუმლოება – საჩუქრის საიდუმლოებაა. აბა შეხედე, მე შევქმენი ზეცაში მზე და სინათლე, რომელშიდაც ის ცოცხლობს, მისივე პრწყინვალების სხივებია.



იგი თავისივე სინათლის ძალით ანათებს, რაც მისგანვე მოდის. ასე შენც მოგანიჭე ჩემი სიყვარულის, ჩემი სიხარულის, ჩემი ჯანმრთელობის, ჩემი სიმდიდრის სხივთა განფენის უნარი. და ისევე როგორც მზე არსებობს მხოლოდ თავისი სხივების ძალით, რასაც განასახიერებს ან რომლითაც ანათებს, ასე შენც შეგიძლია იცხოვოთ იმ სინათლეში რომელსაც თავადვე განასხივებ. სიყვარული გარედან

არ შეიძინება. ყველაფერი ამ სამყაროში მუდავნდება მხოლოდ შიგნიდან. ყველაფერს მოგცემ, რათა შენივე გულიდან, შენივე არსი გამოასხივო. სიხარული შენი მარადიულად თანამგზავრია იმ ზომით, რა ზომითაც მას თავადვე გაიღებ სხვებისათვის. ეძებო ბედნიერება შენს მიღმა, ეზიდებოდე მას გარედან, ნიშნავს დაღუპო იგი.

ბედნიერების შენს მიღმა მოპოვების წყურგილი უბედურების განცდას იძლევა. ასეთი განცდა ერთადერთი უბედურებაა. რასაც არ უნდა აღწევდე საკუთარი თავის მიღმა, ერთხელ მიღწეული იგი უდაბნოს მოჩვენებასავით ქრება. საკუთარი თავისათვის გარედან შეძენას მოაქვს იმედების გაცურება, რამეთუ ყოველი არსი შიგნიდან ანათებს. ჯანმრთელობის წყარო მხოლოდ შენშია. თუ მას გარე სივრცეში დაუწყებ ძებნას, ეს იგივე გამოვა, რომ მზემ საკუთარივე სხივები ისევ თავის წიაღში დაიბრუნოს. თუკი ეს მოხდებოდა რა გამოვა? სრული სიბნელე. როცა შენ ჯანმრთელობას მიიღებ, სულ ერთია ეს ჩემგან მიიღებ შენ მას, თუ მე ამას სხვას ვასწავლი და შენ კი უპვე მისგან ისწავლი ამას და შენვე გააღვიძებ შენში ჯანმრთელობას, შენ დაინახავ, რომ ეს შენი შინაგანი წყაროდან ჩქეფს შენი

ჯანმრთელობა და ის გარეშე ძალა როდია, რომლის მოხმობასაც შენ შეძლებდი. რაც შენ ხარ (რასაც შენ წარმოადგენ) შენ მხოლოდ მასვე იძლევი. თუ რაიმეს ვერ იძლევი, ესე იგი შენ ის ჯერ არ გაგაჩნია. იყო ვინმე ან წარმოადგენდე რაიმეს, ნიშნავს ფლობდე შესაბამის საგანს თუ ხარისხს, და აი ამიტომ მე გეუბნები შენ, რომ შენ არაფერი არ გაგაჩნია გარდა იმისა, რასაც არსებითად შენ თავადვე წარმოადგენ. აი ამაშია მეექესე საიდუმლოება.

ჩემი სიმდიდრე, — სამყაროზე ბატონობაა. ოქრო სიმდიდრე არაა, თუკი ის დევს უძრავად; არცა ვერცხლი, კარ-მიდამო თუ სამოსელი არ წარმოადგენენ სიმდიდრეს, თუკი არ გამოიყენებიან. ამიტომ გეუბნები შენ, გამოყენებაა ერთადერთი სიმდიდრე. ვინც ხურდა მსუბუქი ხელით დახარჯა იმ წუთში იგი იმაზე მდიდარია, ვინც მილიონები დააგროვა და არ ხარჯავს. დვთაებრივი სიმდიდრის განცდა შენში იბადება და შენგანვე მოდის, გარეშე პირები როდი ზღუდავენ ან ხელშემწყობნი როდი არიან ასეთი სიმდიდრისა. არცა ვალები, არცა მონობა, მაგრამ არცა ოქროს მთები და სხვებზე ბატონობის ძალაუფლება არ აისახება მასზე. თუ შენ თავს მდიდრად გრძნობ, მაშინ შენ განკარგავ შენ სიმდიდრეს და უხვად

იძლევი იმას, რაც გინდა რომ გასცე, მაგრამ გასცემდე წინასწარ დასახული მიზნის გამო, — თავისუფალ გაღებას არ ნიშნავს და არცა ჩემი სანუკვარი სიმდიდრის ნიშანი არაა. რა მიზანიც არ უნდა გქონდეს შენ, — შეცვალო სხვათა მდგომარეობა შენზე დამოკიდებულებით, დაიმსახურო ქვეყნის ქება-დიდება შენი დიდსულოვნებისათვის, — ეს ყველაფერი შენი “მიზნებია” და შენ “იძლევი” შენი ნების დაკმაყოფილებისათვის. ეს კი როდი ნიშნავს გაცემას, არამედ ნიშნავს გამოსყიდვას. თუმცა მე როდი გიშლი შენ ამგვარ საქციელს, და თუკი შენ ჯერ არ მიგილწევია თავისუფლებისათვის, შენ უნდა იცხოვო მონობაში. და თუ შენ ფიქრობ, რომ სიყვარულს სხვებისაგან, შენ შენს გარე სამყაროდან მიიღებ, მაშინ შენ უბედურად იგრძნობ საკუთარ თავს, იგრძნობ რომ სიყვარული გაკლია. თუ შენ ფიქრობ რომ ჯანმრთელობა გარედან შეიძინება, წამლებით თუ სხვათა ზემოქმედებით და შეეცდები მი-იზიდო ასეთი “სიკეთე”, შენ თვითონვე შექმნი იმ პირობებს, რასაც ავადმყოფობა ჰქვია. ჩემი კანონი შენთვის — საიდუმლოებაა, რამეთუ გეუბნები შენ, რომ შენ ცოცხლობ მხოლოდ იმით, რასაც იძლევი და კვდები მხოლოდ იმისაგან, რასაც დაისაკუთრებ. საიდუმლოება

იმაშია, რომ შეძენა კლავს და მსხვერპლის გაღება ცხონებაა.

იხმე ტანჯვა და იგი დაკარგავს შენზე ზე-მოქმედების უნარს. იხმე ბედნიერება და ისიც დაკარგავს შენი დაკმაყოფილების თვისებას. მიაყენე სხვებს უბედურება, — და ის შენ-სავე გულს ავნებს, მიეცი სხვას ბედნიერე-ბა, —უმდერე მათ ბედნიერებისა და სიხარუ-ლის მომგვრელი სიმდერები, — და გული შენი აღივსება ჩემი სიყვარულით, ყოველი მისი სი-ლამაზითა და თავდავიწყებითი ძლიერებით. შენ შენი სიბრძნე არ გაგაჩნია მანამ, სანამ ჩემს ხმას არ გაიგონებ, რომელიც შენი გუ-ლის წიაღიდან მოდის. აი იმ ბედნიერ დროს გახსნი შენ შენს ბაგეს და “მე” ვილაპარაკებ შენი ენით და შენ კი ჩემი სიბრძნით დაიწყებ შენს ბედნიერ ცხოვრებას. მაგრამ, ისევ და ისევ ჩემი ნების გამო, შენ დიდხანს ეძებდი სიყვარულს და ამაოდ ცდილობდი მისი შენს მიღმა შეძენას. ასევე ჩემი ნების გამო, შენ მთელი ძალით ეძებდი სიყვარულს და ბოლოს დარწმუნდი, რომ ასეთი ძიება ერთადერთი უბედურებაა. ასევე ჩემი ნების გამო სულით და გულით ეძებდი ჯანმრთელობას შენივე გონების მიერ გარეშე მონაჩმახთა შორის. ჩე-მივე ნების გამო შენ გეგონა, რომ სიმდიდრე


შეძენით მოიპოვება. და აი, მე გიხმე შენ. მე გამოგიგზავნე ბედიც და უბედურებაც, რათა მესწავლებინა შენთვის ის, რომ შენს იქით ვერაფერს შეიძენ, და მინდოდა იძულებით ჩამები ბრძოლაში და ამ იძულებით ბრძოლაში მესწავლებინა შენთვის, როგორ გამხდარიყავი მართლაც ძლიერი და როგორ მიგეღო ძლიერი სხეული და ძლიერი სული, რათა ლირსეულად გამოხატო ჩემი სრულყოფილი სიბრძნე, სიხარული და სიყვარული, ჩემი ჯანმრთელობა, ჩემი სიცოცხლის უნარიანობა, და ისევ და ისევ ჩემი სრულყოფილი სიბრძნე. სადაც არ უნდა მიიტანო შენ შენი ნობათი, მისი გაცემა ისევ და ისევ მხოლოდ საკუთარი თავისათვის მოხდება, თუ რა თქმა უნდა გულით იძლევი. თუ გინდა მიწიერი საჩუქარი გაიღე სულიერი ნობათის სანაცვლოდ, მხოლოდ იცოდე, რომ ასეთი ნობათი ჩემს თვალში სულაც არაა ნობათი. დაეხმარე მოძღვარს, თუკი გსურს იმ რელიგიის განვრცობა, რაც ჩემი ჭეშმარიტების მხოლოდ ნაწილია, და რაც შენ მხოლოდ ერთადერთ ჭეშმარიტებად მიგაჩნია, მაგრამ იცოდე რომ მსგავსი საჩუქარი თავისი არსით შენს მიზნებს ემსახურება, ისევ და ისევ შენი ნებისდა აღსასრულებლად და ამიტომ მასში არავითარი საჩუქარი აღარაა. არავისა-

გან არ ვითხოვ საჩუქარს. თუ შენ იმისათ-  
ვის მაძლევ, რომ მასიამოვნო, იცოდე რომ მე  
ისედაც კმაყოფილი ვარ შენით და ვერაფერი  
დაარღვევს ჩემს კეთილ დამოკიდებულებას  
შენს მიმართ ისევე, როგორც ვერაფერი ვერ  
გამოიწვევს ჩემს უკმაყოფილებას. შენ უკვე  
სარგებლობ შენს მიმართ კეთილი დამოკიდე-  
ბულებით და მე არ მსურს, რომ შენ რაიმე  
მოიმოქმედო საიმისოდ, რომ თავი მომაწო-  
ნო, მხოლოდ იცოდე, რომ ეს სიყვარული კი  
არაა, არამედ სურვილი, რაც რაღაც მიზნის  
გამო ვლინდება. ყველაფერი რაც შენ გიყვარს  
რაღაცის გამო, იჩრდილება შენივე სურვი-  
ლის გამო. შენ დაკარგე ყველაფერი რაც  
გიყვარდა, თუკი შენი სიყვარული ადამიანთან  
ურთიერთობის შენარჩუნებას გულისხმობს  
მხოლოდ ისევ და ისევ საკუთარი თავისათ-  
ვის. მე შენში ვცოცხლობ, შენიდან ვასხივებ  
და მე ვარ ყოველივე ის რაც ჭეშმარიტად არ-  
სებობს. ალბათ იტყვი: “მე ხომ არ მგულის-  
ხმობს დმერთი?” დიახ შენ, შენ, რომელიც ამ  
სტრიქონებს კითხულობ, შენ რომელიც ამას  
ისმენს. აი, ეს მეექვსე საიდუმლოება შეიცან:  
შენ ცოცხლობ მხოლოდ იმით, რასაც იძლევი.

## 7. დამცირება

მეშვიდე საიდუმლოება – დამცირების საიდუმლოებაა. მე არ ვაღვიძებ შენში ჩემს “მე”-ს, მანამ, ვიდრე შენ არ დაგიძლევია შენში კერძო არსებობა. აი, როდესაც ეს გრძნობა დაძლეულია, მაშინ შენ შეგიძლია შემიცნო “მე”. ამ ბრძოლაში შენ განავითარებ შენს გონებას ისე, რომ ეს ახალი გონება შენი სიხარულის საგანი გახდება, მაგრამ იმისათვის, რომ დაძლეული იყოს კერძო არსებობის გრძნობა, შენ დამცირება უნდა განიცადო. შენი პიროვნება შენ შენი კუთვნილება გვინდია, სინამდვილეში იგი ჩემია. და იმის გრძნობა, რომ შენ დამსახურებები გაგაჩნია, სინამდვილეში მეკუთვნის მე და არა შენ. რა ხარ შენ ჩემს გარეშე? გაიგე რომ ის პიროვნება, რომელსაც შენ საკუთარ პიროვნებად მიიჩნევ, სინამდვილეში არ არსებოს. გაიგე რომ მე და მხოლოდ მე გცოცხლობ და მე ვასულდგმულებ შენს სხეულს, მე და მხოლოდ მე ვასრულებ იმას, რასაც შენ აკეთებ. ისიც უნდა შეიმეცნო, რომ მე ვდებულობ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას იმაზე, რაც შენ ჩაგიდენია, ჩადიხარ დღეს და ჩაიდენ კიდეც მომავალ ში.

ჯვრის სიმბოლოს მეშვეობით წარსულ  
დროთა წიაღში მე გადმოვეცი ადამიანებს  
ყველაფრის მიმართ პასუხისმგებლობის საი-  
დუმლოება და იმისათვის რომ მესწავლებინა  
ეს თქვენთვის, მე საკუთარ თავზე ავიღე დანა-  
შაულის გრძნობა და გამოვისყიდე იგი ჯვარ-



ცმით. მაგრამ შენ გაძლევ დამცირების საი-  
დუმლოებას, გიხსნი რომ შენ არაფერი ხარ,  
რომ ეს მე ვცოცხლობ შენში. შენ არ შეიძლე-  
ბა რომ გქონდეს დანაშაულის გრძნობა, ისე-  
ვე როგორც დამსახურებისა და აი ის, რასაც  
შენ შენს პიროვნებად მიიჩნევ, დამცირებას  
დამცირებაზე განიცდის, ვიდრე ის პიროვნება  
არ მოკვდება და არ გაანთავისუფლებს შენს  
სხეულს ჩემთვის შენდა სასიხარულოდ. ბევრი  
ლოცულობს: “ლმერთო მომანიჭე მორჩილე-

ბა”, – და როდესაც მე დამცირებას გუგზავნი, ისინი როდი გრძნობენ ამაში ჩემს ხელს. არ არსებობს იმაზე მეტი გამოცდა შენი ამპარტავნებისათვის, ვიდრე დამცირება, მაგრამ რას იზამ; ყველამ უნდა გაიაროს იგი და მოკვდეს. ოცნებობ თუ არა შენ სიამაყეზე, პიროვნების გადარჩენაზე ძალაუფლების მისაღწევად სიკეთე – სიამოვნებათა მოსახვეჭელად? რაზე ოცნებობს იგი, მოწონება დაიმსახუროს თუ მარადიული სიცოცხლე? იცოდე, რომ ამაოა ყოველი იმედი. დრმა დამცირების შედეგად დაიხოცებიან ისინი და გაქრებიან, და მხოლოდ “მე” ვიცოცხლებ. შენი პიროვნება ვერ შესძლებს დაიმსახუროს პატივისცემა, რამე-თუ პიროვნება შენს აფორიაქებულ გონებაში არსებობს მხოლოდ. თუმცა შენს წარმოდგენაში არსებული პიროვნება სასარგებლო იყო შენთვის: იგი შენი გონების განვითარებას ემსახურებოდა, იმ გონების განვითარებას, რომელიც მოგვიანებით მოახერხებს და შეიცნობს ჩემთან, ერთიან უსასრულო პიროვნებასთან, დიდ “მე”–სთან ერთობას. შენ გეჩვენება რომ შენი პიროვნება ცოცხლობს შენს სხეულში და მას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ დროთა განმავლობაში მე გაგიმხელ იმას, რომ მე ვზრუნავ შენს დროებით სხეულზე

და მე მივანიჭე მას პიროვნული, ამაყი ცნობიერება მისი განვითარების გულისათვის. როდესაც სხეულს ადარ დასჭირდება ეს ამაყი ცნობიერება, მე ღრმად შეურაცხმყოფელ დამცირებებს გამოგიგზავნი. მაშინ სიამაყის გრძნობა დამნებდება და მოკვდება. და აი მაშინ, როდესაც შენთან დამცირება მოვა, შენი პიროვნება შექრთება, რადგან ახლოა მისი სიკვდილი: მხოლოდ კი სხეულმა უნდა გაიხაროს, რადგან მისი განთავისუფლების დროც მოსულა. შენ გგონია რომ სიკეთის ქმნას ცდილობ ან კაცობრიობის გაბედნიერება გინდა? მაგრამ ყოველი წვდომა, ყოველი პატივ-მოყვრული ზრახვები პიროვნების თვისებებია და მასთან ერთად კვდებიან. ბევრი ასეთნაირად ლოცულობს: “დმერთო, თუ სიმდიდრეს მომცემ, მე მას სხვათა სასიკეთოდ და შენდა სადიდებლად გამოვიყენებ”. ასეთნაირად გინდა ჩემი დახმარებაც და ადამიანთა მოდგმის გაბედნიერებაც. შენ რა, ჩემზე უკეთ იცი თუ რაა საჭირო სხვათათვის? და შენ მაინც ცდილობ დაამკვიდრო შენი პიროვნება, – მერე რა, რომ მას ეშლება და იგი ხომ მაინც ცდილობს და ცდილობს და იმკის დამცირებას თავისდა სატანჯველად, თუმცა თვითონაც კარგად ხედავს სხვათა დამცირებას (შენი პა-

ტიგმოყვარეობა ძნელად ღებულობს ამ მეშვიდე  
საიდუმლოებას). ასეთნაირად ვიყენებ მე დამცი-  
რებას შენი განვითარებისა და სხვათა სხვ-  
ულების განვითარებისათვის. მაგრამ ოოდე-  
საც ყველა დამცირება იგემე, რომლებიც ჯერ  
გელოდებიან შენ, ისინი სიხარულის სავსე  
გაკვეთილებად მოგევლინებიან შენ. აი, ასე  
განთავისუფლდები შენ საკუთარ თავზე გან-  
საკუთრებული წარმოდგენებისაგან და ასეთ-  
ნაირად გახდები ჩემი სიხარულის იარაღი. თუ  
შენ მზად არა ხარ ამ სიტყვების მისაღებად,  
კარგი იქნება უარპყო ისინი. შენი ამპარტავნე-  
ბა ისეთივე ჩემი ქმნილებაა, როგორც შენი  
მომავალი თავმდაბლობა. შენთვის სასარგე-  
ბლოა გმართოს სიამაყემ, ყველა მისთვის  
დამახასიათებელი პატივმოყვრული ზრახვე-  
ბითა და სურვილებით, ვიდრე მისი ძალა შენ-  
ზე არ ამოიწურება. აი, როდესაც იგი თავის  
საქმეს გააკეთებს, შენ მას მოისვრი გვერდზე  
და სხეული შენი აღსდგება ამპარტავნებისა-  
გან განთავისუფლებული და შეიძენს უნარს  
გამოხატოს ჩემი “მე”.

## 8. ადორძინება

მერვე საიდუმლოება – ადორძინების საიდუმლოებაა. ამ საიდუმლოების წვდომა არ მიიღწევა შრომით, რწმენით თუ მისწრაფებით, იგი უნდა ამოიზარდოს შენში შენივე სულიერი თვისებების ზრდასთან ერთად. ვიდრე ტანჯვით არ მიაღწევ მეშვიდე საიდუმლოების შინაარსს და ვიდრე არ მიაღწევ თავისუფლებას ჩემთვის, შენ ვერ ჩაწვდები მერვე საიდუმლოებას. წარსულ დროთა წიაღში ჩემს ხალხს მე გავუხსენი ქორწინებისა და დაბადების საიდუმლო და ქორწინება წმინდა მოვლენად მოვნათლე ბავშვების დაბადებისათვის, რათა თაობებში გაგრძელებულიყო ჯანსაღ სხეულთა გაჩენისა და განახლების პროცესი.

თუკი პირველი შვიდი კანონი მიუწვდომელია შენი გაგებისათვის, ადორძინების კანონსაც ვერ ჩაწვდები. მაშინ კარგი იქნება შენთვის ბავშვების გაჩენის უძველესი კანონის პატივისცემა; აღზარდე ბავშვები სიყვარულსა და ალერსში, შეინარჩუნე კურთხეული და წმინდად შერაცხული ქორწინება სიმართლესა და მარადიულობაში. მაგრამ როდესაც ჩემგან შთაგონებული შენ მოიცილებ შენთვის

ასე უჩვეულო ყველა ჟინსა და შიშს, პირადი სიამოვნების ყველა მისწრაფებას, მაშინ შენი ქორწინება აღორძინების წმინდა საიდუმლოების გაცხადება იქნება. საიდუმლოება იმაშია, რომ სიყვარულით შთაგონებული შენ სხვაგვარად მოიქცევი, ვიდრე ოდესმე მოქცეულსარ წარსულში, როდესაც შენ ჟინის კარნახით ცხოვრობდი. სიყვარულით შთაგონებული შენ მხოლოდ შენი მეუღლის ბედნიერებაზე იზრუნვებ და არა შენი პირადი კმაყოფილებისათვის. მაშინ წმინდა იქნება ის ძალა, რომელსაც აღმოაჩენ და ის უკვე ამაღლ როდი გაიფლანგება და შენივე მარადიული სიჭაბუკის წყაროდ გარდაიქცევა.

მაგრამ ასე ერთბაშად შენ ვერ შეიძენ ასეთ აღორძინებულ ცხოვრებას. ერთბაშად როდი შეიცვლები ამგვარი უანგარო სიყვარულის აღმოჩენითა და გამოვლინებით. ბევრჯერ დაგიჭერენ წარსულის ავხორცობანი და ჟინი, მაგრამ მე სულ უფრო უხვად და უხვად მოგმადლი შენ ჩემს ამოუწურავ მოთმინებას ჩემივე წმინდა სიყვარულისათვის და ასეთნაირად უფრო მეტად სარწმუნოდ შეიცნობ შენში ჩემს არსებობას. შენ ხომ არ წამოგცდენია ასეთი რამ: “ჩემი არჩევანი უკვე აღარ პასუხობს ჩემს იდეალებს...” არა და შენ აშკარად დაინა-

ხავ, რომ შენი თანამგზავრი ყველაზე მეტად შეგეფერება შენ, იგი ხომ მე თვითონ შეგროე შენ, რათა უანგარო სიყვარული მესწავლებინა შენთვის. ეს სიყვარული მე შთაგბერე შენ, რომელიც შენთვის არ ითხოვს არცა სითბოს, არცა მხარდაჭერას და არცა საპასუხო გრძნობას. და მე ისეთ სიხარულს ჩავდებ შენს



სიყვარულში, რომ შენ გაბრწყინდები და განახლდები. მაგრამ ვიდრე შენი გული მზად არაა სიყვარულის ჩემი სუნთქვა მიიღოს, შენ სხვებში დაიწყებ მის ძებნას, მაგრამ შვებას მაინც ვერ იპოვი იმაში, რასაც შეიძენ სხვა-ში, რადგან სიცოცხლე მხოლოდ სიყვარულ-შია შესაძლებელი იმ სიყვარულში, რომელიც მხოლოდ შენი გულიდან მოედინება.

და აი მაშინ, ოდეს მთლიანად ჩაიძირები ჩემი

ცხოვრების სრულ სისავსეში, შენ გაიხარებ შენს მეორე ნახევართან და შეიყვარებ მას ისე, რომ შენი სიყვარული გადაფარავს მის ნაკლოვანებებს. რადგან მისი თავმოყვარეობა მოგანიჭებს შესაძლებლობას გამოიჩინო შენი უანგაროება და მისი ჭირვეულობა აღზრდის შენში უკიდეგანო მოთმინებას. გახდი მომოქმენი და იცოდე, რომ თუ შენ ჯერ არა ხარ სიყვარულისა და უანგაროების გასხივოსნებული წყარო, მომგალში მაინც გახდები ასეთი. და მე გიგზავნი შენ ისეთ გამოცდებს, რომ შენ ისწავლო ამ თვისებათა გამომჟღავნებას, რომლებსაც შენ სხვებში ვერ ამჩნევ. ამიტომ შენთვის კარგი იქნებოდა ქორწინების უძველესი ადათის დაცვა, მაშინ როდესაც ჟინი გაწუხებს, ისევე როგორც იცავ მათ როდესაც შთაგონებაში იმყოფები, რადგან ეს შენი გამოცდაა და სიხარულიც ერთდროულად, რომლებისგანაც იბადება შენი ძალა. ამ სიტყვებით მცნებას როდი გაწვდი, რადგან ჩემი სიტყვა შენთვის მხოლოდ ისაა, რაც შენ ამოიკითხე მასში და დებულობ; თუ შენ არ გწამს ის, რომ ეს სიტყვა ჩემგანაა, მაშინ თავად შენი ურწმუნობა იმოქმედებს შენზე და როგორიც არ უნდა იყვეს ეს ზემოქმედება, აი ის იქნება შენდამი ნათქვამი ჩემი სიტყვა.

## 9. თავისუფლება



“ ბედი მიათრევს ურჩს და სათ-  
ნოებით მიუძღვის მორჩილს.”

მეცხრე საიდუმლოება – თავისუფლების საიდუმლოებაა. მე თავისუფლებისაკენ მიმ-  
ყავხარ და ამიტომ გაგყიდე მონობაში. დაბადე-  
ბული მონად, შენ იზრდებოდი მონობაში.  
როდესაც გონს მოხვედი და შეიგნე რომ ხარ  
მონა, მე არ მიჩქარია შენი განთავისუფლება.  
მონობას მონობით ვანაცვლებდი, რათა ბო-  
ლოს და ბოლოს მიგეღწია თავისუფლებისათ-  
ვის. ვათავისუფლებდი სხეულს, – ბორკილებს  
ვადებდი შენს გონებას. შენ არ ყოფილხარ  
მზად იმის განთავისუფლებისათვის, რასაც  
შენ პიროვნებას ეძახი, რადგან იგი დამონუ-  
ბული იყო ჟინითა და სხვათა აზრის ტყვეო-  
ბით, რაც ალბათ გასაგებია შენთვის, ანდა  
მონა იყავი იმისა, რასაც შენ სინდისს ეძახი.

შენ მიეჩვიე იმოქმედო და იაზროვნო იმ გარე-  
მოს სულისკვეთებით, რომელშიდაც იყავი აღ-  
ზრდილი; შენ ზუსტად ამ ჩვეულებათა მონა  
იყავი. შენ ეხლაც ბორკილებს ატარებ და ეს  
ბორკილებია — პატივმოყვარეობა და პატივ-  
მოყვრული მისწრაფებანი. განთავისუფლდი  
თუ არა შენ იმ ბორკილებისაგან, რომლები-  
თაც მე შენ ადრე შეგბორკე? და მაინც, — შენ  
ვერ მიაღწიე თავისუფლებას. გაწირე თუ არა  
შენ შენი ვნებანი ჯვარცმის სატანჯველისათ-  
ვის? დამიპრუნე თუ არა მე ის, რასაც შენ  
სხვათა სასიკეთოდ ცდილობდი? და მაინც შენ  
ალბათ შენი შეხედულებების მონობაში იმყო-  
ფები. ჩემი თავისუფლება კი, — გულის თავი-  
სუფლებაა. ყველაზე მეტად ის მაშინ ბრწყი-  
ნავს, როდესაც გარემო განსაკუთრებით მძიმე  
უხილავ თუ ხილულ ბორკილებს ქმნის. ჩემი  
საიდუმლოება იმაშია, რომ თავისუფლება რო-  
დია გარეგნული ან ისეთი რამ. რაც სხვათა  
აზრებსა თუ საქციელზეა დამოკიდებული. ჩემი  
თავისუფლების თანაზიარია ის, ვინც ნაღვე-  
ლის გარეშე ითმენს დაყოვნებებს, ვინც სრუ-  
ლი უშფლთველობით დებულობს იმას, რაც  
მის ირგვლივ ხდება. თუმცა. სიკეთე შენდა,  
თუკი მონობაში იმყოფები. ჩემი სრულყოფილი  
თავისუფლება დროთა განმავლობაში შენი

გონების შთაგონების წყაროდ გადაიქცევა, და იგი მხოლოდ მაშინ მიაღწევს სიმწიფეს, ოდეს მონობას გადაიტანს. ასეთი შინაარსი აქვს ჩემს საიდუმლოებას. რაც უფრო ცუდად გამოიყურები, მით უკეთესია შენთვის. დაფიქრდი, ზედმეტად მძაფრი თავმოყვარე ხომ არა ხარ? და თუ ხარ, იცოდე, რომ მე შენი გონების იმ თვისებებს ვასაზრდოებ, რომლებითაც ვაპირებ ვისარგებლო იმისათვის, რომ ჩემი დიდი “მე” – ს ცნობიერება გამოვამჟღავნო შენში. ხარ თუ არა შენ მხდალი და მშიშარა? მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მე მინდა შენი გონების ის თვისებები განვავითარო, რომლებითაც შემდგომში “მე” ჩემს სრულ უშიშარობას გამოვავლენ. გრძნობ თუ არა შენ ერთგულების შენში უკმარისობას? ეს შენი ტანჯვა მე შენი გონების განვითარებისათვის მჭირდება, რომლის მეშვეობითაც შემდგომში მე გამოვამჟღავნებ ჩემს სრულ სიბრძნეს და გამჭრიახობას შენში. დიდია ტანჯვა და ასევე დიდია ჩემი მცნებებისაგან შეძენილი სრულყოფილება. ჭეშმარიტად გეუბნები შენ, ნეტარი ხარ თუ იტანჯები, რამეთუ ტანჯვით მიაღწევ სრულყოფილებას. ორმაგად ნეტარი ხარ თუ განიცდი შიშს, რამეთუ შიშს ვაჟკაცობაში გარდავქმნი. მაგრამ შენ სამჯერ ნეტარი ხარ მაშინ, თუ იტანჯები

და მიიღობენ სრულყოფისაკენ, თუმცა ჯერ ვერ ხედავ რომ “მე” ვიბადები შენს გულში, რამე-თუ სიბრძნე შენსას, ყოვლის მხედველობად გადავაქცევ. შენი უკიდეგანო სიბრძნე, თვა-ლის მომჭრელ ელვარე ნათებად გადაიქცევა.

აბა შეხედე: მე ხომ სინათლე ვარ, რომელიც შენი “მე”—ს სიღრმეებიდან მოვედინები. ჩემი სიტყვები ერთნაირად ეძლევა მრავალს, მაგ-რამ შენ ვერ ჩაწერები მათ, ვიდრე ასეთი გონიერებისათვის მზად არა ხარ. თავისუფლე-ბის ჩემი საიდუმლოება იმაშია, რომ თავისუფ-ლად მიიღო ის, რაც გსურს, რომ შენ გულით შეგიძლიან მიიღო ის რაც შენ გჭირდება და რაც ჩემგანაა მომზადებული შენთვის.

შენ არა ხარ დამოკიდებული გარემოზედ, რამეთუ შემიძლია ნებისმიერ გარემოზე მო-გარგო: შენ სხვათა წარმოდგენებსა და აზრზე დამოკიდებული არა ხარ. მაგრამ თავისუფალი ხარ იმისათვის, რომ შეებრძოლო გარემოს და თავისუფალი ხარ იმაშიც, რომ დაემორჩილო სხვათა წარმოდგენებსა და სხვათა აზრებს. და იმაშია ჩემი საიდუმლოება, რომ სხვადა-სხვა ხმებით გეძახი მონობის, შიშის, ეჭვების ხმებით ისევ და ისევ შენი განვითარების გუ-ლისათვის, რადგან შენ ჩემს ხელში იარაღი ხარ და ასე მიმყევხარ თავისუფლებისაკენ.

## 10. რელიგია

თქვენ, რომელთაც შესმენის უნარი გაგაჩნიათ, გეძლევათ რელიგიის გაცხადება. ყოველი რელიგია და ყოველი სარწმუნოების მოძღვრება, რაც მომიცია, დოგმატებსა და რიტუალებში განსხვავდებიან. აქ შენ იქნებ თქვა: “რელიგიები დგთისაგან არაა, თორემ დმერთი დანარჩენ მსოფლიოს შეცდომაში ხომ არ შეიყვანდა სხვათა არა ჭეშმარიტი რელიგიების გამო.” იცოდე რომ თაობიდან თაობამდე მე გატარებდი შენ და სხვებისაგან განსხვავებულ სრულყოფილებებს განვითარებდი შენში. იცოდე, რომ აქამდე თაობიდან თაობა მისდევდა ერთმანეთს ისე, რომ ჩემს შერჩევისა და განსხვავების კანონს ემორჩილებოდა ყოველი. ამიერიდან ყოველი განსხვავდება ყოველისაგან და ყოველი თავის გზას ირჩევს, ისევე როგორც მოძღვრებას.

ბევრს, შესაბამისად ცნობიერების განვითარებისა, სულიერი საზრდოს არჩევანი ეძლევა, რაც სარგებლობის კუთხით ამგვარ არჩევანს ამართლებს. ბევრი კი სხვადასხვა მოძღვრებათა შორის არჩევანს იმსახურებს ასევე მათ

მიერ შეძენილი გონების ძალის, ცნობიერების სიმაღლის თუ გამოცნობის შეძენილი უნარის მაღლით. მაგრამ იქნება ეს თავისუფალი თუ ნაძალადევი არჩევანი, ყოველ შემთხვევაში მათ მაგიერ არჩევანს მე გაკეთებ, და ვმოქ-



მედებ არჩევანის თანახმად ან პირიქით, და ყოველს, ვინც არჩევანი გააკეთა ვჩუქნი მისი ნიჭის შესაბამის საუკეთესო პირობებს, მის-თვის ნებისმიერ გარემოში. მაგრამ ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მისი ხასიათი განვითა-რების პირობებზეა დამოკიდებული. ტვინის აგებულება ისეთია, რომ არცა კვება, არც წიგნების კითხვა და არცა გამოცდილება არ მოქმედებს მასზე, თუკი ეს საკვები, გამოც-დილება და ცოდნა ხელს არ უწყობენ ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებას. მაგრამ შენ რას იტყვი? “იძლევა კი დმერთი ნებას იმისა, რომ

ადამიანი ცრურწმენაში იყოს?” იცოდე, რომ ყოველი რწმენა, რა თქმა უნდა რომ მცდარია. მაგრამ იგი მაინც გამოსადეგია ცნობიერების შენი დონისათვის. შენში სწამს იმას, ვინც თავის თავს ჩემგან ცალკე პიროვნებად მიიჩნევს საკუთარ თავს. არა და ამ დროს, პიროვნებას არ გააჩნია უნარი ჭეშმარიტების ხილვისა და ამიტომ მას არ ესმის ჩემი. აი, როდესაც ეგრეთ წოდებული პიროვნება, ანუ პატარა “მე” მოკვდება შენში და ამით იგი სხეულს მიანიჭებს უნარს მემსახუროს უკვე “მე” როგორც გონიერი იარაღი, აი მაშინ შენ სრულ ჭეშმარიტებას განასხივებ შენს ირგვლივ. მანამდე ყველა სარწმუნოებას გჩუქნი შენ. ყოველი მათგანი ერთნაირად მცდარია, მაგრამ შენ შეგიძლია ირწმუნო ის, რაც მეტად მისაწვდომია შენთვის. თუმცა, თუ შენ შეძლებდი რომელიმე მოძღვრების შინაგანი, ფარული შინაარსის წვდომას, მაშინ შენ იპოვნიდი ჭეშმარიტებას, რამეთუ ჭეშმარიტება იმდენად დიდია, რომ დიდების მისი ანარეკლიც კი მოგიტანდა განათლებას. და აი, ამაშია ის მეათე საიდუმლოება, რომელიც გვასწავლის, რომ გარეგნულად ყველა რელიგია ცრუა, მაგრამ შინაგანად ისინი ყველა ჭეშმარიტია ერთნაირად. ქადაგებ თუ არა

შენ რომელიმე უძველეს და უმშვენიერეს რელიგიას? ხარ თუ არა შენ დარწმუნებული იმაში, რომ რელიგია რომელსაც შენ ქადაგებ, ერთადერთი ჭეშმარიტებაა, დანარჩენი კი ყალბი? იცოდე, რომ ეს კარგია და შენ მე მემსახურები ამით. ჭეშმარიტება რომელსაც შენ ქადაგებ, ბევრს მოიზიდავს და მათვის, ვინც შენს ქადაგებას მიიღებს, შენ ჩემი მაცნე იქნები და ვერავინ ვერ ირწმუნებს მას, გარდა იმ ერებისა, ვისაც ეს მათი განვითარებისათვის ესაჭიროება. გტკივა თუ არა შენ გული იმათ გამო ვისაც შენი მოძღვრება არ შეეხო? ცდოლობ თუ არა შენ დაარწმუნო ისინი თხოვნითა და დარიგებებით? კი ბატონო, ვის გულსაც უნარი არ გააჩნია აიტანოს ეს, ნუ აიტანს, დარჩენენ მხოლოდ ძლიერი გულები. შენ კი ეცადე აიყოლიო ისინი, ვისაც შენი სწავლება არ შეეხო, რადგან ასეთი მცდელობები იმოქმედებენ მათზეც და შენზეც. თუმცა ისე კი არა, როგორც შენ გინდა, მაგრამ მაინც ისე, როგორადაც საჭიროა ეს შენი და მათი განვითარებისათვის. სასტიკი ხომ არ გეჩვენება შენ ზოგიერთი ჩემი გადაწყვეტილება? ხომ არ ამბობ: “სისასტიკეს არაფერი არ ამართლებს? მაგრამ მე სასტიკი ვარ, რათა მსურს სიკეთე და ვანვითარებ შენს გონებას, ვიდრე შენ

არ მიაღწევ ჩემს დიდ “მე”—ს. სიკეთე შენდა, თუკი უნარი შეგწევს იხილო სილამაზე ჩემს რომელიმე რელიგიაში. ყოველი მათგანი გასწავლის შინაგანი პატარა “მე”—ს ჯვარცმას. თუ რომელიმე მათგანი თვალს აგიხელს იმაზე, რომ უნდა მოიცილო ეს პატარა “მე”, მაშინ მიხვდები, რომ ეს რელიგია მე ზუსტად ამისათვის გამოგიგზავნე. ნუთუ არ წაგიკითხავს, რომ წარსულ დროთა წიაღში, ისინი ვინც ჩემს მსახურებად აცხადებდნენ საკუთარ თავს, ბნელს ავრცელებდნენ ნაცვლად სინათლისა, რითაც აფერხებდნენ ყველაფერს იმას, რასაც შენ განათლების წარმატებას არქმევ? იცოდე, რომ მე ყოველთვის ისე ვცხოვრობდი, როგორც ახლა ვცხოვრობ. მე ყოველთვის შენი ხასიათის განვითარებაზე ვზრუნავდი, იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო შენთვის. შენ მხოლოდ ნაწილობრივ შეიცან საქმენი ჩემი ხელისანი იმ ბნელ დროთა წიაღში და მე ჩავნერგე შენს გულში ეჭვი ჩემი სიბრძნის მიმართ შენი ამ არასრული ცოდნის გამო. მაგრამ იცოდე, რომ, ყველაფერი დირსეული რაც სიცოცხლეს ახლავს, მხოლოდ მაშინ ვითარდება ყველაზე უკეთესად. როცა მას ახლავს წინააღმდეგობა. ის, რასაც განათლება ჰქვიან, იმ ხელებში იზრდება, ვინც

ცდილობს მის შეფერხებას. შენ რომ ყოველივე ეს გცოდნოდა, იტყოდი: “დმერთო, შენ ეს მაშინაც კარგად იცოდი.”

რელიგიებს ყოველთვის ჩემს შემეცნებამდე მიყავდი. მაგრამ მე მხოლოდ რელიგიით როდი გიხმობ. მე გეძახი შენ ყოველივე იმით, რასაც შენ აცნობიერებ. ყოველი ხმა, – ჩემი ხმაა; სიცოცხლის ყოველი გამოვლინება, – ყვავილი იქნება ეს, ხე თუ ცხოველი, – ჩემი გამოვლინება. ყოველი მრისხანე და სასტიკი დარტყმა, რომელიც შენ თავს დაგატყდება, ჩემგანაა. მკაცრად ვმეტყველებ მე თუ არა, ოდეს შენს პიროვნებას რელიგიის მოწოდებებით მივმართავ? მაგრამ მე კიდევ უფრო მრისხანე განსაცდელების ენით გელაპარაკები, ოდეს გიგზავნი მათ. ყოველი განსაცდელი ჩემგან მოდის. შენ ალბათ ვერ ხედავ, თუ როგორ უნდა აიხსნას შენი განსაცდელები ლვთაებრივი სიყვარულით: “თუ დმერთი ამას მიგზავნის”, – იტყვი შენ, – “ის სიყვარულის დმერთი ვერ იქნება.” იცოდე რომ ასეთი ფიქრი კარგია შენთვის, რადგან ასეთ სიბრმავეს გაბრწყინებამდე მიჰყავხარ. მაშინ აღიარებ შენ, რომ დიდია და ყოვლის მომცველი ჩემი სიყვარული და არც ერთი თმის ლერო არ ჩამოვარდება შენი თავიდან ჩემი

ნების გარეშე და ყოველივე ეს შენდა სასიკეთოდ ხდება. მაშ ასე, მე გეუბნები შენ, რომ ჩემი ხმა გიხმობს შენ: მშობლიური პანგების სინაზით თუ ლოცვების იმ სიტყვებით, რომლებსაც ჩურჩულით იმეორებ დედის კარნახით, ან იქნებ მკაცრი გამოცდების ორომტრიალში, — ეს სულერთია, რანაირიც არ უნდა იყვეს ის ხმა, რომელიც მოგმართავს შენ, — ეს ჩემი შენდამი მიმართვაა, ეს ის ჭეშმარიტებაა, რომელიც ჩემი მეათე საიდუმლოებაა იმაზედ, რომ ყოველს სხვადასხვა მოძღვრებისა თუ ისტორიული ნაამბობისა სწამს და ამაში მე მხარს ვუჭერ მათ და ამით საუკეთესო სულიერ საკვებს ვუგზავნი მათ მათივე გონებისათვის.

ჩემი შენდამი ზრუნვის დასტური თავად შენა ხარ, რამეთუ აქაც არ გაძლევ საშუალებას იწამო ის, რასაც შენ კითხულობ, თუკი ამონაკითხი სარწმუნოება მიუღებელია შენი გონებისათვის როგორც საუკეთესო საკვები.



## 11. სიკვდილი

სიკვდილის საიდუმლოება – ბოლო საიდუმლოებაა: სამი სულდგმულიდან შენ მათი ერთობა ხარ და ეს სამი სულდგმულია; შენი სხეული – ჩემი ქმნილებებიდან ერთ-ერთი რგოლი; შენ გაგაჩნია პიროვნება – მოჩვენებითი პატარა “მე”; შენ გაქვს სული – და ეს სული ვარ “მე” – შენი დიდი “მე”.

აქამდე სხეული კვდებოდა, მაგრამ ყოველი მომაკვდავი მხოლოდ რგოლი იყო ჩემი ტანჯვისა, რომელიც სრულყოფილებას განიცდიდა ყოველი გარდაქმნების მადლით. ყოველ გარდაცვალებულს ჰქონდა თავისი მომდევნო თაობებისათვის თავისი მნიშვნელობა, იგი კვ-

ლავ ცოცხლდებოდა თავის მოდგმაში და ყოველივე იმათში, ვისთანაც მას შემორჩა სულიერი ურთიერთობა. ადამიანის პიროვნება – ან მისი თვითშეგნებაა, ან ჩემგან განცალკევებული სიცოცხლის ცნობიერება. ეს დროებითი ცნობიერება სასარგებლოა ადამიანისთვის, ისევე როგორც სხვებისთვისაც, მათზე მისი ზემოქმედების გამო, თუმცა არსით იგი წარმავალია და სიკვდილს ექვემდებარება. შენ, რომელსაც ჩემგან დამოუკიდებელ არსებად მიგაჩნია საკუთარი თავი, შენ მოკვდები, თუმცა სხეული შენი შეიძლება არ მოკვდეს. აქამდე შენი სხეული შენივე საკუთარი თავის შენგანვე გაცნობიერებამდე ქვდებოდა და იქ, სადაც სხეული ქვდებოდა გონებაზე ადრე, იქ ცნობიერება განაგრძობდა სიცოცხლეს და ეხმარებოდა ადამიანებს ისე, თითქოს სხვა სამყაროდან ამყარებდა მათთან კავშირს. შენთვის სასარგებლოა საკუთარ არსში ჩაღრმავებულ ასეთ პიროვნებათა ხმების მოსმენა, მხოლოდ იცოდე, რომ საკუთარი თავის გაცნობიერება დროებითია და მარადისობის სიყვარულს ვერ იტევს. მე ვწყვიტავ სიბრნის ნიაღვარს, როდესაც სხეული ქვდება და აი მაშინ, მასთან ერთად ქვდება თვითშეგნებაც. შენ ერთობი მკვდარ ადამიანთა სულების

გამოძახებით, — კარგია, ეს გამოცდილება  
შენი განვითარებისათვის მოგეცა ჩემგან.

სული შენს სხეულში — მე თვითონა ვარ.  
ცოცხლობს თუ კვდება რომელიმე სხეული,  
მე ყველა სხეულში ვცხოვრობ. შენი სინამ-  
დვილე არა მხოლოდ სხვა სხეულებში გა-  
დასახლდება, არამედ სხვა ნებისმიერ სხეუ-  
ლებშიც. იცოდე, რომ სული — სიცოცხლის  
საწყისია და თვითშეგნება — სიკვდილისა.

მხოლოდ ერთი კია, რომ თვითშეგნება მე  
მჟირდება; იგი განავითარებს შენს სხეულს და  
გამოპყავს იგი სიკვდილის დაჭვემდებარები  
საგან. რამეთუ სხეული აუცილებელი არაა  
რომ მოკვდეს. ყოველი, რაც ცოცხალია, მარა-  
დიულ სრულყოფილებას განიცდის. როდესაც  
დაიბადება სხეული, რომელიც არ საჭიროებს  
საკუთარი თავის თვითგაცნობიერებას, რო-  
მელიც იმდენად ძლიერი იქნება, რომ შეძ-  
ლებს ჩემს გამჟღავნებას, მაშინ სხეულზე  
ადრე თვითშეგნება მოკვდება და სხეულიც  
თავისუფლად გაილადებს და საკუთარ თავზე  
აზრების გარეშე სრული სიყვარულით გაბ-  
რწყინდება.

ასეთი სხეული ჩემს სრულყოფილ სიყვა-  
რულს ყოველგვარი ჰინისა და ავხორცობის  
გარეშე გამოამჟღავნებს.

შენში ჯერ კიდევ არის უინისა და ავხორცობის ჩრდილი. ეს თუ ასეა, კარგია, რამეთუ ყოველი ნდომა ჩემგანაა შენი გონების წმინდა სიყვარულის მოსამზადებლად, სადაც გამორიცხულია ყოველი მდაბიო ნდომა. არადა ნდომაზე უარს შენ ჯერ ვერ იტყვი, ვიდრე შენი დრო არ დადგება. თუკი შენ მათზე უარს იტყოდი მთავარი მიღწევისათვის, — ცნობიერად გამომამჟღავნო მე, — სადაც შენ მთელი სულითა და გულით მოინდომებდი, ამით შენ უზენაესისათვის მხოლოდ მცირედს გაიღებდი და აი, აქ კი შენ შეგიძლია გამოიყენო გონიერება და ნებისყოფაც მოიშველიო სასრული მიზნის მისაღწევად. თუმცა იყავნ ნება შენი... ყველა ნდომა, რომელთა მარწუხებში შენ იმყოფები, ჩემგანაა შენში დაშვებული, როგორც გამოცდა და დახმარება ერთდროულად, მაგრამ ყოველივე ეს თვითშეგნებას მიეკუთვნებიან და შენთვის მხოლოდ სიკვდილი მოაქვთ. შენ, რა თქმა უნდა, გინდა რომ შენმა სხეულმა მუდამ იარსებოს. ამ სურვილში სიკვდილის თესლია ჩათესილი და ამ სურვილის განხორციელების წინააღმდეგობა. შენ გინდა გახდე მორჩილი, მაგრამ ყოველ ნდომაში ამპარტავნების დასაწყისია ჩადებული. შენ გინდა იყო უანგარო, მაგრამ ნდომა

თან ახლავს თვითშეგნებას და უანგარობა ითხოვს თვითშეგნების უარყოფას და ეს ძალ-ზედ ძნელია. ასე რომ, რაც არ უნდა ისურ-გო, თავად სურვილის ბუნების თანახმად, იგი შეიცავს შესრულების სიძნელეს და აი, ამა-შია სიკვდილის საიდუმლოება, ანუ თვითშეგ-ნების, პატარა “მე”-ს დავიწყების საიდუმლოე-ბის სიძნელე, რადგან როდესაც შენ სხეულს უთმობ სიკვდილს (ვთქვათ იგივე “შავასანა”, – სიკვდილის პოზა: შენიშვნა მთარგმნელისა) აი, ამ სიძნელეთა იოგის მეთოდებით დაძლე-ვის მადლით, სხეული ცოცხლდება და “მე” ჩავსახლდები მასში და შენი პატარა “მე”, ანუ საკუთარი თავის გაცნობიერება, შენი თვით-შეგნება კი, – კვდება.

მრავალ განსაცდელში გაგატარებ “მე” შენ, გამოგიგზავნი სევდასა და მწუხრს ახლო-ბელთა დაღუპვის გამო. შენი სიკეთისათვის მივანიჭე სიცოცხლე იმას, ვისაც სიკვდილს ვუგზავნი ისევ შენდა სასიკეთოდ. შენ იტყვი: “ბედნიერი ბავშვი ლოცვის დროს დაიღუპა, რატომაა რომ კარგები იხოცებიან?” არა და “მე” ვარ ყოვლისა და ყველაფრის მეუფე. მე ჩავბერე შენს გულში ეს წუხილი და სინაჯ-ლი, რომელსაც შენ ჩემს მიმართ გამოხატავ შენს ფარულ საყვედურში უმანქო ჩვილის

გარდაცვალების გამო. სხვამ იქნებ თქვას კიდეც: “ო, ღმერთო ჩემო, რატომ მე არ წამიყვანე ბავშვობისას?” ურწმუნოვ! განა არ იცი შენ, რომ ვიცავ იმას, ვინც უნდა იცოცხლოს, და მიმყავს ის, ვინც უნდა მოკვდეს?!

საბოლოო საიდუმლოება ისაა, რომ სიკვდილი – ჩემი ანგელოზია. ჩვილი სხეული, რომელიც ვერ აიტანს ყოფითი ცხოვრების საშინელ სიდუხვირეს, თავისი სიყმაწვილობის გამო, მიმყავს რათა გავათავისუფლო იგი აუტანელი ტანჯვებისაგან. ასეთი არსება არ იქნება იძულებული ძლიერი ლტოლვის საზღაური გადაიხადოს და შენ ამბობ: “რა კარგი იყო საცოდავი...” ასეთი არსებას გაჩენაც და მისი გაქრობაც შენთვის ხდება, რათა ცეცხლივით მწველი სევდისაგან გამოიცადო. ამით შენში გაქრება საკუთარ თავზე, როგორც ცალკე აღებულ პიროვნებაზე წარმოდგენა, მაგრამ მარადიულ სიცოცხლეს მივანიჭებ მხოლოდ იმათ, რომლებშიდაც პიროვნება მოკვდა. და ჩემი საიდუმლოება იმაშია, რომ ვისაც საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სურს, დაკარგავს სხეულს და ვინც მას, ანუ პიროვნულ პატარა “მე”-ს გაიღებს, საკუთარ სხეულს გადაარჩენს.

შეხედე: თაობები იხოცებიან და “მე”— სი-

ცოცხლე ვარ და არ შემიძლია მოვკვდე. და მე ვცოცხლობ შენში, და ეს მე, შენში მაცხოვრებელი ამჟამად, დასაბამიდან ვცოცხლობდი შენში. დიდი „მე“—სათვის სიკვდილი არ არსებობს. მან შექმნა ყოველივე და იგი მარადისობის მიღმა არსებობს და განაფრქვევს სიყვარულსა და ძალას.

ნუ გეშინიან სიკვდილისა: მას არა აქვს ძალა შენზე, არამედ გემორჩილება შენ. შენ – მეფე ხარ, შენი გვირგვინია – სიცოცხლე, სკიპტრა კი – სიკვდილია. ჩემი სიცოცხლე შენში მუდამ გმართავდა შენ; ნუ გეშინია, ეხლაც არ მიგატოვებ. ტანჯვისა და სიკვდილის საიდუმლოება თუ ვინმეს გადაუტანია, სხვების განვითარებას მოხმარდება, თუ, რა თქმა უნდა, გაიგებენ გადატანილი ჯოჯონეოთის არსს. და ამას ისეთი ზემოქმედება ექნება მათ გონებაზეც, რომ ისინიც მიაღწევენ სიმწიფეს, რომელსაც ისინი სხვაგვარად საკუთარი ჯოჯონეოთით თუ მიაღწევდნენ. ამიტომაა, რომ მე გიმხელ სხვათა ჯოჯონეოთის გამოსყიდვის საიდუმლოებას და ტანჯვის მიღებით გადარჩენას, რადგან ასეთნაირად ჩაწვდე ჭეშმარიტებას.

სამჯერ კურთხეულია ის, ვინც იტანჯება, რამეთუ მე მის ტანჯვას სხვათა სიკეთედ გარდავაჭცევა. ხარ თუ არა შენ მზად, ნებით

მიიღო ტანჯვა და სიკვდილი, რათა სხვები გადარჩნენ? ჰეშმარიტად გეუბნები შენ; შენ შეიძლება განიცადო ტანჯვა, თავის მოჭრა და სიკვდილიც, მაგრამ თუ შენ მართლაც შენი ნებით წირავ თავს და შენი ცნობიერება კვდება, მაშინ მე გეუბნები შენ, — შენი სხეული უკვდავია და საფლავი ვერ ჩაყლაპავს მას.

\* \* \*



## მამაზეციერის გზავნილი

როცა რაიმე განსაცდელი გეძლევათ, ნუ კითხულობთ რატომ და საიდან? ან სხვა კითხვების დასმას თავი დაანებეთ. ჩაიხედეთ მხოლოდ საკუთარ გულში და დააკვირდით, გაქვთ თუ არა საკმარისი სიყვარული (ანდა არის კი სიყვარული საკმარისი ოდესმე?!) თქვენი გული მხოლოდ სიყვარულის ენერგიით უნდა იყოს სავსე, უნდა ავსებდეს მის ყოველ ნაწილს, კუთხე-კუნჭულს, ტენიდეს მთელს გულს, დუღდეს და გადმოდიოდეს, შემდეგ ავსებდეს მთელს სხეულს და მიედინებოდეს სხვებისაკენ უსასრულოდ, და უსიტყვოდ კურნავდეს მათ.

და თუ განსაცდელის წინაშე დგახართ, ე.ი. უკვე თქვენს გულში რაღაც რიგზე ვერ არის. ასე, რომ, დააკვირდით თქვენს გულს, და გონებიდან მოიშორეთ ყველა კითხვა, უბრალოდ მოუსმინეთ გულს!!!

თუ კარგად ჩაუდრმავდებით ამ საკითხს, მიხვდებით, თუ როგორ ენერგიებშია გახვეული თქვენი გული, როგორი ენერგიებით პვებავთ მას გამუდმებით. როცა ამას მიხვდებით, მეტ-ნაკლებად განსაკუთრებულად თითოეული ადამიანისთვის, გულს სჭირდება მოფრთხილება, ზრუნვა და თქვენ ამასაც მიხვდებით. ამიტომ ხშირად ჩადით გულში და მოუბოდიშეთ, მოეფერეთ მას, თუნდაც იმიტომ, რომ საჭირო სიყვარული დააკელით და შესაბამის სატანჯველში ამყოფებდით, არ ელოლიავებოდით, არ ეფერებოდით....

ამასთან ერთად, ამის შემდეგ წაიკითხეთ ლოცვები გულში, ეს ყველაზე მცირედი ხარკია, რაც შეიძლება თქვენს დატანჯულ გულს გადაუხადოთ.

და ამითაც მალევე ცოტათი მაინც მიხვდებით იმ განსაცდელის ფასს, რაც თქვენ მოგევლინათ უფლის ძალით. და იმ ზედმეტ და უაზრო კითხვებს აღარ დაუსვამთ თქვენს თავს.

და მიხვდებით, რომ ესა თუ ის განსაცდელი თქვენი გაკვეთილია, რომელიც უნდა ისწავლოთ; თქვენი ამოცანაა, რომელიც უნდა ამოხსნათ; თქვენი გამოცდაა, რომელიც სასურველია წარმატებით ჩააპაროთ. ამიტომაც ყოველთვის იყავით ფხიზლად, ისწავლეთ ამა თუ იმ მოვლენის სწორი დაკვირვება, იქიდან სწორი დასკვნის გაკეთება და შემდეგ უპვე სწორი გადაწყვეტილების მიღება ჭეშმარიტი მოქმედებისათვის.... ან უბრალოდ, შეავსეთ თქვენი გული სულ უფრო მეტი და მეტი სიყვარულის ენერგიით, ენერგიით რომელიც არის ზეციური, წმინდა, სუფთა და ლგოური. უგზავნეთ და ამდიდრეთ თქვენი გული ამ ენერგიებით და დადგება ის მომენტი, როცა მიხვდებით, რომ თქვენი ცხოვრება თანდათან მოწესრიგებული და მშვენიერი ხდება, და თანდათან ნაკლები ფათერაკების და წინააღმდეგობების გარეშე მიმდინარეობს.

იფიქრეთ ყოველთვის გულზე, იზრუნეთ მასზე, გაივსეთ მხოლოდ სიყვარულის ლგოური ენერგიებით, და თანდათან კითხვებიც ნაკლებად დაგებადებათ გონებაში, რომლებზედაც პასუხი გულიდან ამოფრქვეულ ენერგიებს ამოჰყვება. და თქვენ მიეჩვევით მათ მოსმენას.

და ბოლოსდაბოლოს მიაღწევთ იმ მდგო-  
მარეობას, როცა ჩაიძირებით თქვენივე გულის  
ენერგიებში, ზუსტად მაშინ გაიგონებთ თქვენი  
გულის ნამდვილ ფეოქვას, მის სუნთქვას და  
მისი ყურით მოისმენთ გულის სიღრმიდან წა-  
მოსულ ბგერებს, სიტყვებს და შემდეგ აზრებს,  
და აი მაშინ თქვენს ბაგეებზე გადმოიღვრე-  
ბა კაცობრიობის განმავლობაში დაგროვილი  
ლვთიური სიბრძნე... ე.ი. თქვენ შეუერთდით  
თქვენს გულში ლმერთს... ლმერთი კი ერთია,  
ლმ-ერთი ე.ი. თქვენ გახდით ლმერთი.

ეს თქვენში ოდესმე დაბადებული ყველაზე  
დიდი და ძნელი კითხვის ყველაზე ჭეშმარიტი  
პასუხია.

გისურვებთ წარმატებებს ლმერთისაკენ მი-  
მავალ თქვენთვის განკუთვნილ გზაზე!!!

\* \* \*



## სპეციალუცია დედობით დედა მიშველე!....

„ყოველი რევოლუცია, რომელიც არ გარდაქ-  
მნის სახელმწიფო იდეოლოგიასა და ერის ზნუ-  
ჩვეულებას, – განწირულია”.

შატობრიანი

დედა, დღეს შენმა არაბმა შვილმა მსოფლი-  
ოს წინაშე მხეცურად მომაჭრა თავი და თმე-  
ბით დაიჭირა იგი ხელში, რომ შენი გული  
მოექლა.

დედა, დღეს შენი შვილები, ყველა შენგან  
გაჩენილები, ერთმანეთს გხოცავთ ისრაელში,  
ჩეჩნეთში, ერაყში და ვინ იცის კიდევ სად  
და სად. დედა, ჩვენ, შენი ალალი შვილები,

გოჩა და ხვიჩა, შენმა შვილებმა მოგვიტაცეს და სტამბოლის ბაზარზე გაგვყიდეს. შემდეგ მე, მამელუქმა, უმოწყალოდ ავკუწე ჩემივე ხელით ჩემი სისხლხორცეული ძმა – ნაპოლეონის ჯარისკაცი და მწარედ ავტირდი მეც და შენც აგატირე და ძაძები ჩაგაცვი და შენი გოდება ზეცას წვდებოდა.

- დედა მიშველე!
- რა გემართება!?

– გამოიღვიძე! ვიღუპებით უშენოდ! სადაა შენი მშვიდობის მომტანი წმინდა მანდილი? სადაა შენი სამყაროს დედის, წმინდა მარიამის, ღვთისმშობლის სიბრძნე და სათნოება, სად არის შენი სიბრძნე, რომელიც ერთადერთია რაც შეარიგებს და გადაარჩენს კაცობრიობას სიბეცისაგან, თვალებს აუხელს და შეარიგებს ყველა მოსისხლე, შურისძიებით აგზნებულ გულს. დედა, გაიხსენე რომ შეცდომებს შენს მეტი ვერავინ მოგვაცილებს, რათა შენი შვილები, ალალი და-ძმანი ჩავეხუტოთ ერთმანეთს, გავიხაროთ და შენც გაგასაროთ. ჩვენ ყველა მხოლოდ შენი შვილები ვართ და გვასწავლე ერთგულება ერთმანეთი-საღმი!

- დედა, გვიშველე!,
- რა გემართება?

— გამოიღვიძე! განა ზანგს რომ ცოლად მიჰყვებოდი, ზანგი არ უნდა გაგეჩინა შვილად?! ესე იგი ჩვენ, ზანგები და თეთრკანიანები, შენი შვილები, ერთმანეთის ალალი და-ძმანი ვართ და შენ გიყვარს ყოველი ჩვენთაგანი.

დედა! განა ყვითელკანიანს რომ მიჰყვებოდი ცოლად, ყვითელკანიანი არ უნდა გაგეჩინა შვილად?! ესე იგი ჩვენ, ყვითელკანიანები და თეთრკანიანები, შენი შვილები, ერთმანეთის ალალი და-ძმანი ვართ და შენ გიყვარს ყოველი ჩვენთაგანი.

დედა! განა წითელკანიანს რომ მიჰყვებოდი ცოლად, წითელკანიანი არ უნდა გაგეჩინა შვილად?! ესე იგი ჩვენ, წითელკანიანები და თეთრკანიანები, შენი ალალი შვილები, ერთმანეთის ალალი და-ძმანი ვართ და შენ გიყვარს ყოველი ჩვენთაგანი.

დედა! მაშ შენმა თეთრკანიანმა შვილებმა რატომ შეჟქმნეს რასიზმი?! საიდანაა ეს სიმახინჯე ასე რომ გვტანჯავს? დედა, ეს შენი შეცდომაა და გამოასწორე! რასიზმი მაშინ დაიბადა, შენ რომ გეძინა, დედა და უნდა გაიღვიძო, რომ შეცდომა გამოასწორო.

- დედა, გვიშველე!
- რა გემართება! შენ ქრისტიანი, მაჟმადი-ანს რომ მიჰყვებოდი ცოლად, განა არ იცოდი,

რომ შენი შვილი მეჩეთში ალაპს აღუვლენდა  
ლოცვას?! მაშ შენ მთელი სამაჟმადიანო გიფ-  
ვარს, გიყვარვარო მეც და ჩემი მაჟმადიანი,  
ალალი დებიც და ძმებიც!

დედა! შენ ქრისტიანი, იუდეველს რომ მი-  
ჰყვებოდი ცოლად განა არ იცოდი, რომ იუდე-  
ველს გააჩენდი და შენი იუდეველი შვილი  
სინაგოგაში იელოვას ეთაყვანებოდა?! ესე იგი  
მთელი ისრაელი, ყოველი იუდეველი შენი  
შვილია და გიყვარს ყოველი მათგანი, ჩემი  
ალალი დები და ძმები!

დედა! შენ, ქრისტიანი, ბუდისტს რომ მი-  
ჰყვებოდი ცოლად, განა არ იცოდი, რომ მა-  
მამისი მას ბუდას თაყვანისცემას ასწავლიდა  
და ნირვანის მოპოვების გზას გაუყენებდა?!  
ესე იგი შენ მთელი ბუდისტური სამყარო გიფ-  
ვარს, ყოველი მათგანი ხომ ჩემი ალალი და-  
მმაა შენგან!

დედა, ეს თუ ასეა, მაშ საიდან ასეთი შე-  
უწყნარებელი რელიგიური ანტაგონიზმი? საი-  
დანაა ეს სიმახინჯე, ასე რომ გვტანჯავს?  
დედა, ესეც შენი შეცდომაა და გამოასწორე.  
რელიგიური ანტაგონიზმი ხომ მაშინ დაიბადა,  
როცა შენ მართალია კი ალარ გეძინა, მაგრამ  
თვლემდი. ეს შეცდომაც რომ გამოასწორო,  
შენ ბოლომდე უნდა გამოფხილდე!

—დედა, გვიშველე!

—დედა, რა გემართება?!

დედა, გონს მოდი! უშენოდ შენი შვილები  
არა მხოლოდ ვიტანჯებით, არამედ ვიღუპუ-  
ბით!



დედაო დვთისა, წმინდაო მარიამ! შენ გაად-  
გიძე ჩვენი მიძინებული მიწიერი დედები. შენ  
გაახსენე მათ ვაჟების აღზრდა, რათა შეასრუ-  
ლონ ერთადერთი, წმიდათაწმიდა მოვალეობა  
დედისა, — აღზარდონ ვაჟკაცები, რაინდები,  
რუსთაველის ჭეშმარიტი გმირი ადამიანები.

ასეთი საქციელი დღეს, დედაო ჩემო მიწიე-  
რო, დაგვიწყებია და ის, რომ მათი ვაჟები  
ვაჟკაცებად არ შესდგნენ, საშინელი დანაშაუ-  
ლის მიზეზი გახდა. როცა ჩვენს დებს გაუჭირ-

დათ, ჩვენ მათ ფული შევთავაზეთ და სანაც-  
ვლოდ... სანაცვლოდ სხეული მოვთხოვეთ.  
ვაჟების ვაჟებაცებად შეცდომით აღზრდას მო-  
ჰყვა კაცობრიობის ყველაზე დიდი უბედურე-  
ბა, — მეძავეობა. ან რა უფლება აქვთ შენს  
შვილებს, მამაკაცებს, არ დაეხმარონ თავიანთ  
დებს უანგაროდ ისე, რომ ეს სამარცხვინო  
ხარკი არ გადაახდევინონ მათ, მათი ფუ-  
ლის სანაცვლოდ?! ხარკი, რომელზეც მეტად  
შეურაცხმყოფელი გადასახადი არ არსებობს  
მთელს სამყაროში.

...შენ დედა, შენ უნდა ჩაგვაგონო შენს შვი-  
ლებს, რომ ყოველი ქალი ჩვენივე საკუთარი  
დედაა და სისხლით და ხორცით ალალი და,  
რომლის არამცოუ დამცირება არ შეიძლება,  
არამედ არ შეიძლება უანგაროების, და-ძმური  
სიყვარულის გარეშე დახმარების ხელი არ  
გაუწოდო მას.

სხვაგვარი საქციელი დალატია და ყველაზე  
დიდი ბოროტება მთელს სამყაროში, დვთისა  
და კაცობრიობის წინაშე.

მაშ, როგორ ამოვწუროთ უხსოვარი დროი-  
დან დღემდე მოსული ოკეანე მტრობისა, რაც  
ახალ უბედურებებში გადადის?

დღეს იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ყოვე-  
ლი უბედურება მამაკაცთა გაბოროტებითაა

გამოწვეული, მაგრამ კადნიერებაში ნუ ჩამო-  
მართმევ დედავ, როცა ვამბობ, რომ შენგან  
გაზრდილი, სათნოებას მოკლებული შვილე-  
ბი, შენი ხელებით, ანგრევენ მშვენიერებას...

...ერთი ქვეყნის რისხვად ქცეული ყაჩალი დაი-  
ჭირეს და თავის მოკვეთა მიუსაჯეს. სიკვდი-  
ლის წინ ბოლო სურვილის შესრულების  
უფლება მიანიჭეს მას და დედა მაჩვენეოთ...  
მოხუცი დედა რომ მოუყვანეს, ენა გამოაყო-  
ფინა და როცა ყველას ეგონა დედას კოც-  
ნით დაემშვიდობებოდა, — ენა მოაკვნიტა და  
გადააფურთხა, — ამ ენამ დამღუპაო და იმ  
ქვეყნად როგორ წავიდოდი ჩემი უბედურების  
მიზეზი არ დამესაჯაო... ამ ენამ მომიწონა,  
როცა ბავშვობისას პირველი კვერცხი მოვი-  
პარეო, მერე ქათამი მოვიპარე და ისევ მაქოო  
და ასე ნელ-ნელა გავბოროტდი და ახლა კი  
სამარცხვინო სიკვდილით უნდა დავისაჯოო...

დიახ, სათნოებას მოკლებული შვილები  
შენი ხელებით ანგრევენ ამ ქვეყანას, მის მშვე-  
ნიერებას... კლავენ და ზღვა სისხლს ლვრიან,  
ძალადობენ და ციხე-დილეგებში ტანჯავენ  
თავიანთ მსხვერპლს... ამ დროს კი თურმე სა-  
კუთარ, ალალ დებსა და ძმებს.

ამასთან ერთად, ამასობაში ადამიანთა მოდ-  
გმა დაქნინდა, დასნეულდა, როგორც ფიზიკუ-

რად, ისე ზნეობრივად და სულიერად. ნუთუ მოგწონს შენ ეს საშინელი, ულამაზო, სულიერად და ზნეობრივად მდაბალი მამაკაცები, რომლებსაც შენ შენს ქალიშვილებს ატან მხოლოდ იმისათვის, რომ გათხოვდნენ, პატრონი შეიძინონ, მატერიალურ პრობლემებს გაექცნენ?! ან კი შენ სულიერად დაბედშავებულ, ფიზიკურად დაცემულ, ყოველნაირად შეუხედავ ქალიშვილებს რომ ათხოვებ, ძალიან კარგად იცი, რომ ისინი არა მხოლოდ დედობისათვის არ ვარგანან, რადგან სნეულ შვილებს აჩენენ, არამედ შვილის აღზრდის ხელოვნების არანაირი ცოდნა არ გააჩნიათ და ამასთან ერთად ოჯახის ერთგულება და მეუღლის თანადგომა დიდი ხანია სასაცილო გახდა მათთვის.

ნუთუ არ გინდა გააუმჯობესო მოდგმა ადამისა?

ნუთუ არ გინდა გააკეთილშობილო, ამაღლებულად გაზარდო, გამოიყვანო ჯიში შენივე ნაშიერისა. არადა ვიხრჩობით ფიზიკური, გენეტიკური, ზნეობრივი და სულიერი სიმახინ-ჯეებისაგან!

- დედა, მიშველე!
- დედა, რა გემართება?!
- დედა, გონს მოდი.

განა ვერა ხედავ, რომ ადამიანები ყველაფრის უფლებას აძლევენ თავის თავს და ამით ყველა ისე გავსაზიზღდით, რომ ევროპის შუაგულში კაციჭამიობა გაჩნდა. ან რა, იგივე კაციჭამიობა არაა ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობა, ადამიანებზე “სათარიგო ნაწილებისათვის” ნადირობა, ასევე საამისოდ ბავშვთა ყიდვა-გაყიდვა?!

ო, როგორ გამუქდა დრო და ჩამოიბურა ჟამთა სვლა ჩვენს თავზედ. ისტორიის ყველა ცალკეულმა მანკიერებამ, ყველამ ერთიანად იჩინა თავი ჩვენს დროში და ეს კი უკვე აუტანელია...

- დედა, გვიშველე!
- დედა, რა გემართება?!
- დედა, გონს მოდი!

მარტო ადამიანებით ვაჭრობა როდი აპი-თურებს ცივილიზებულ საუკუნეს, მონათ-მფლობელური დროის სიმახინჯეთა გადმო-ნაშთებით. არა, მარტო ასე როდია. ვაჭრობის როგორც მასშტაბები, ასევე მისი “საცალო ერთეულები” გაუგონარ ბოროტებას აღწევენ.

...იყიდება ქალაქები, რეგიონები, გავლენის სფეროები, იყიდება, რა თქმა უნდა, თავისივე მოსახლეობით, ისე, რომ ამის შესახებ მო-სახლეობამ არა იცის რა.

ნელ-ნელა დაიკუწა და გაიყიდა იუგოსლავია. აფხაზეთისა არ იყოს, სერბიაში დღეს მკვიდრი მოსახლეობა თითქმის აღარა ცხოვრობს...

შენ წარმოიდგინე დედა, რომ რუსეთიც გაყიდულია, ყოველ შემთხვევაში ცალკეული რეგიონები და რესპუბლიკები. ასეა საქართველოც. საქართველოს საერთოდ ლუკმალუკმა დაშლას უპირებდნენ, მაგრამ ის რაც მოახერხეს, ისიც ამაზრზენია. გაყიდული იყო აჭარა, ყველამ იცის მისი მყიდველიცა და გამყიდველიც. გაყიდულია აფხაზეთი. დედა, თანხა არ გაინტერესებს? სოხუმში 5 მლრ დოლარია გადახდილი. ამას სამაჩაბლოც მიაყოლეს, ასე ვთქვათ, ხურდაში. საქმე თუ ასე გაგრძელდა, მალე კუნძულები და კონტინენტები წავა შავ ბაზარზე, ნულოვანი აუქციონიდან...

თუ ეს შენი შეურაცხყოფაა ერთის მხრივ, სამაგიეროდ, მეორეს მხრივ ხომ შენი დირსეული შვილების ხელებითაა ნაშენი სამყაროს შვიდი საოცრება, რომლებიც შენი ქებათა-ქებაცაა და საკურთხეველიც ერთდროულად! განა თვით ქრისტე უზენაესი დედის ნაყოფი არაა. ასე შენი დიდებული შვილებიც, ჩემო მიწიერო დედა, ლეონარდო და მიქელანჯელო, ავიცენა, შოთა, ნიზამი... განა ისევ და ისევ შენ არა

ხარ დედაო, უსაყვარლესი მათი შემოქმედიცა და ასევე მათი დირსების აღმზრდელიც?!

შენ! რა თქმა უნდა რომ შენ! მაგრამ ეს შენი გაორება, შენი ძილ-ბურანის შედეგია. იქ, სადაც უბედურებაა — შენ გძინავს, იქ სა-დაც ბრწყინვალებაა — შენ მოახერხე გაღვი-ძება და წესრიგი დაამყარე. ახლაც გვჭირდება შენი მანუს მსგავსი ვაჟიშვილი, რომელიც მა-სავით დაგვიწესებს კაცობრიობას ახალ XXI საუკუნის შესატყვის კანონებს. თუ მთლიანად არა, ზოგი რამ წარსულში მანუს კანონთაგან დღესაც საგულისხმოა, ყოველ შემთხვევაში დედისა და ქალის მიმართ ოდითგანვე უფა-ქიზესი დამოკიდებულება წარუშლელია ნე-ბისმიერი საუკუნისათვის.

დედა! გავიხსენოთ ზოგი რამ მანუს კანონე-ბიდან, იქნებ მოგეწონოს და გენიშნოს კიდეც ჩემი ნათქვამი ამ კანონებიდან შენი მომავალი დირსეული შვილების აღზრდისათვის:

“ქალს, ვით სუსტ არსებას პატივისცემა ესაჭირო-ება”. “იქ სადაც ქალი პატივცემულია, ერი კმაყოფილია, სხვაგვარად ყოველი სხვა სათ-ნოება და ქველმოქმედება — ამაოა”. “ქალი არასოდეს არ უნდა იქცეოდეს ისე, როგორც მას უნდა”. “იგი არასოდეს არ უნდა აჟყვეს თავის სურვილებს, თუნდაც საკუთარ სახლ-

ში”. “ქალი მხოლოდ საკუთრებაა ქმრისა, იგი მხოლოდ ყანაა, მაგრამ ნათესიცა და მო-სავალიც ყანის პატრონს ეკუთვნის”. “ქმარი თავის ცოლთან ერთად ერთ არსებას წარ-მოადგენს”. “ყოველ ოჯახში, სადაც ქალს თავისი ქმარი მოსწონს და ცოლი კი ქმარს, ბედნიერება სამუდამოდაა დამკვიდრებული”. “თუ ვაჟისა და ქალიშვილის კავშირი ორ-მხრივ თანხმობაზეა დამყარებული, ეს უკვე ზეციურ ქორწინებას წარმოადგენს”. “მამა, შემოქმედ მამაზეციერს განასახიერებს ოჯახ-ში და დედა კი დედამიწის განსახიერებაა”. “მამა ას მოძღვარზე მეტად დირსეულია, დედა კი ათას მამაზე მეტადაა დირსეული. მათთვის, ვინც დედასა და მამას პატივს არა სცემს, ყოველი კეთილი საქმე უნაყოფოა. აი, ამაში მდგომარეობს მთავარი ვალდებულება, სხვა ყველაფერი მეორე ხარისხოვანია”. “სასჯელი მართავს კაცობრიობის მოდგმას და ამით მფარველობს მათ. სასჯელი ყველაზე ძლევა-მოსილი მთავარია. იგი დახვეწილი მბრძანე-ბელია, კანონთა ბრძნულად გამოყენებელი, ყველაფრის საუკეთესო და საიმედო თავ-მდებია... იგი ფხიზლობს მაშინაც კი, როცა ყველას სძინავს; სასჯელი თვით სამართალია”. “ფხიზლად და დროულად გამოყენებული

სასჯელი ბედნიერებაა ადამიანებისათვის და სიამოვნება მათი, მაგრამ უპასუხისმგებლოდ გამოყენებული სასჯელი კნინავს საზოგადოებას". "სასჯელი რომ თავის დანიშნულებას არ ასრულებდეს, ქვეყანა შეძრწუნდებოდა და ყოველი აკრძალვა დაკარგავდა თავის აზრს"...

ასე თუ ისე, ყოველ შემთხვევაში დღესაც კი საგულისხმოა მანუს ეს კანონები და რაც მთავარია, უნდა ადინიშნოს ის, რომ **როცა** ადამიანების კანონები გაურბიან სასჯელს, მაშინ სასჯელს თვითონ არ სძინავს და თვით სასჯელი ადასრულებს თავის თავს ადამიანებისაგან **დამოუკიდებლად**: მოქმედებაში შემოდის ღვთის განგების რისხეა ან ადამიანში ბუნებრივად არსებული სამართლის გრძნობა, რომელსაც, მართალია, თვითონ ვერ ხვდება, მაგრამ სამართალი მაინც ვლინდება სასჯელის სახით.

ღვთის განგების შემთხვევაში ბოროტის დასჯა – ეს მეტად გასაგები მოვლენაა, მაგრამ **მეორე შემთხვევა როდესაც სამართალი გაუცნობიერებელია** – უხილავია: ყოველი ერის ადამიანი იმ თავის მშობლიურ ენაზე, არაკაცს, დანაშაულის მიზეზს, – დედის შეგინებით სჯის არაკაცობისათვის და თუ საკუთარ დედას დაიგინებს, ეს მხოლოდ იმი-

ტომ, რომ იცის ამის შესახებ თუ არა, იგი ქვეცნობიერად გრძნობს, რომ მისი ბედუპულმართობა და აღუზრდებლობა საკუთარი დედიდან მოდის და თვითონვე აგინებს მას. აი, ასე მოქმედებს სასჯელი ხილულ თუ უხილავ



განზომილებაში, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებული...

დედა, ალბათ საბოლოოდ გამოიკვეთა ის აზრი, რომ დღეს დედამიწაზე უამრავი სხვადასხვაგვარი ქონფლიქტის და სისხლისლვრის ფარული მიზეზი ერთია – უდედობა, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნამდვილ დედათა და უპასუხისმგებლოდ აღმზრდელ დედათა პაეჭრობაა.

დიახ! უდედობაა ყოველი ომის მიზეზი. მდა-

ბალი დედათა მიერ აღზრდილი ადამიანები ებრძვიან დირსეულ დედათა დირსეულ შვილებს.

უნდა შემოვიდოთ წარმოდგენები დედის მოვალეობებისა და უფლებების შესახებ, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს:

- ა) ფიზიკური ჯანმრთელობა;
- ბ) გენეტიკური ჯანმრთელობა;
- გ) სულიერი და ზნეობრივი ჯანმრთელობა, და მრავალი სხვა, რაც განსაზღვრავს არა მხრილოდ ქორწინების უფლებას, არამედ ქალის, როგორც დედის უმთავრეს – შვილის გაჩენის უფლებას: შვილის გაჩენის უფლება წმიდათაწმიდა უფლებაა ქალისა და ყოველ ქალს როდი ეკუთვნის იგი.

უპირველესად ყოვლისა, დედა, გამარკვიე თუ რა ხდება დღეს მსოფლიოში სინდის-ნამუსის საკითხთან დაკავშირებით: მე ვერ ვნახე ადამიანი, რომელიც სინდისზე არ ლაპარაკობდეს და რატომდაც მიმაჩნია, რომ უსინდისობას დაარქვეს სინდისი. მე კი ვფიქრობ, რომ სინდისი თვით მამაზეციერის, ქრისტეს და მოციქულთა მიერ, თვით სიცოცხლის მიერაა დაწერილი და ამ სინდისს ადამიანი მიჰყავს სიკეთისაკენ. ვინც ამას ხვდება, იგი ხედავს, რომ ასეთი სინდისი არასოდეს არ იცვლება რადგან ლგთიურია, ბუნებრივია და ესე იგი

ობიექტურია. ასეთი სინდისი მხოლოდ დრმაფ-  
დება და კეთილშობილს უკეთილშობილესად  
შეიქმნს და მოკვდავს კი უკვდავად გარდაჭ-  
მნის. დღეს კი მავანნი და მავანნი ზუსტად  
სინდის-ნამუსით მარცხვენენ თუ არ ვეწევი,  
ვაჟკაცობას მიწუნებენ, თუ არ ვსვამ – “გო-  
იმად” მნათლავენ, თუ ერთხელ მაინც არ  
“გამიჩერია” და რაღა თქმა უნდა, “რა დო-  
ნეზეა” ლაპარაკი. თუ სოდომი და გომორი  
დღესაც დაგმობილი მაქვს და “ბიჭო გონს  
მოდი, აზრზე ხარ... და რა დროს სოდომი და  
გომორია, ერთსქესოვანი ქორწინება მოდაა.  
ჰეი, შე ჯიხვო, ფრთხილად, რქები არ მოი-  
ტეხო...” მე მგონი, დედა, ეს სუბიექტური ვაჟკა-  
ცობა და სინდის-ნამუსი, “დაბოლება” და ვინ  
იცის რამდენი სხვა სიმახინჯე მძინარე დე-  
დათა შვილების ხვედრია და უპირველესად  
ყოვლისა ეს საკითხი უნდა მოგვარდეს, რომ  
შენმა შვილებმა შინაგანი მრწამსით, გულის  
ნამუსით უნდა იცხოვონ, იქნებიან ისინი  
ყურანისა თუ ვეღების, თორასი თუ ბიბლიის  
თაყვანისმცემელნი. დიახ, საჭიროა რელიგი-  
ური სინდის-ნამუსით მოვწესრიგდეთ და არა  
მავანთა სუბიექტური ნამუსით, როცა ჩვენს  
დასამცირებლად მათი მახინჯი შერცხვენა კი  
არ გვარცხვენს, არამედ ის შენოვისაა შეუ-

რაცხმუოფელი: “მოდი ბიჭო დალიე... ერთი  
ვიგრიალოთ, — კაცი არა ხარ?..”

ეს ყველაფერი აღზრდით აღმოიფხება, აღა-  
რაა საჭირო ომი და სისხლის ღვრა, რადგან  
თვით ეპოქა, მერწყულის ეპოქა აწესრიგებს



საკითხებს, რამეთუ “დრონი მეფობენ და არა  
მეფენი”...

...ერთ კაცს სიზმარი დაესიზმრა და მეზო-  
ბელმა ახალგაზრდამ ისე, სხვათაშორის აუხ-  
სნა და... სიზმარიც მართლაც ისე აუხდა სიზ-  
მრის პატრონს.

მეფეს დაესიზმრა სიზმარი და ვერავინ ახ-  
სნა და განრისხდა მეფე: მიპოვეთ სიზმრის  
ამხსნელი, თორემ თავებს დაგაყრევინებოთ.  
გაახსნდათ ის ახალგაზრდა და დაიბარეს  
მეფესთან. გზად იმ ახალგაზრდას კობრა გა-  
დაეყარა და საით მიდიხარო, — ჰკითხა.

—მეფესთან, სიზმარი უნდა ავუხსნაო, მაგრამ, წარმოდგენა არა მაქვს ოოგორ ავხსნაო და ალბათ თავს მომაჭრიანო. ნუ გეშინია, ასე და ასე აუხსნიო. მაშ შენ რაღას მოითხოვ შენს დახმარებაშიო? — იკითხა გაუმა, და საჩუქრის ნახევარსო — მიუგო კობრამ.

მართლაც დაასაჩუქრა ის ახალგაზრდა მეფემ სიზმრის ახსნისათვის და როცა სახლში ბრუნდებოდა, გაახსენდა, რომ კობრასთვის საჩუქრის ნახევარი უნდა გაიღოს... ადგა და სხვა გზით დაბრუნდა სახლში. მაგრამ მეფეს ახლა უკვე სხვა, სხვებისაგან გაუგონარი სიზმარი ესიზმრა და ისევ ის ჭაბუკი დაიბარეს.

ეეჲ, ეხლა კი თავს ნამდვილად მომკვეთენო გაიფიქრა მან, მაგრამ ეშმაკურად ჩაიცინა და მაინც კობრას ახლო-მახლო ჩამოიარა: საით მიდიხსარო, — შეეგება კობრა და სიზმრის ასახსნელადო, მაგრამ ახლა კი ნამდვილად თავს მომაჭრიანო. ნუ გეშინია, ესა და ეს უთხარიო, მიუგო კობრამ. შენ რადა მოგართვაო და საჩუქრის ნახევარიო. მართლაც ასე მოხდა: ახალგაზრდა უხვად დასაჩუქრებული ბრუნდებოდა სახლში, სიხარულისაგან დაგვიწყდა სხვა გზით დაბრუნება და კობრას გადაეყარა. მომეცი საჩუქრის ნახევარიო, მოითხოვა კობრამ. ყმაწვილმა კი ქვა ჩასცხო

მას თავში და დასისხლიანებული კობრა ბილიკზე დააგდო...

მეფეს სიზმრებს აბა რა გამოულევდა... და მესამედ გაუდგა ვაჟი გზას და... მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ცოცხალი კობრა კვლავ წამოიმართა მის წინ და ჰკითხა, საით მიდიხარო. ყველაფერი ძველებულად განმეორდა. საჩუქრებით უხვად დატვირთული ვაჟი სიხარულით მიადგა კობრას და საჩუქრები ერთოთავად მას უბოძა... ისე ერთი კი ჰკითხა: როგორ დამარიგე ჭირა ხელმეორედ იმის შემდეგ, როცა მე პირველადვე მოგატყუეო. კობრამ მიუგო: შენ კი არ მომატყუე, ეს დრო იყო ტყუილებისაო და დრომ მომატყუაო. მაშ, როცა თავი გაგიტეხე ტკივილი რამ დაგავიწყაო? და ესეც, დროის პრალი იყოო, სისხლიანი მტრობის დროისაო, უპასუხა კობრამ. აბა ახლა რომ ასე გულით გიხარია ჩემი სიკეთეო?... და ეს იმიტომ, რომ სიკეთის დრო მოვიდაო და შენ კი არა, დრომ გაიღო სიკეთე ჩემს მიმართო...

...და ეს დროც დადგა დედა! ამ დროს სამყაროს დედის, ლვთისმშობლის, წმინდა მარიამის, ქალის ეპოქა ეწოდება და წმინდა მარიამის, ლვთისმშობლის, სამყაროს დედის სიმბოლო – ვარდია და ვარდების ნიშნით

შემოხვედი დედაო ლვოთისა ჩვენს ცხოვრებაში.

და დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა ბნელსა და ნათელს შორის. ეს ჩემი შენდამი წერილი ბევრს ჩაფიქრებს, რათა საბოლოო არჩევანი გააკეთოს და ბევრი მოვა ნათლის რიგებში. აი, ამ რწმენითა და იმედით მინდა დავამთავრო დედა ეს ლოცვა ჩემი, რადგან ვიცი, რომ სადაც შენა ხარ – იქ გამარჯვებაა! მხოლოდ, ვიდრე დავამთავრებ, ერთს კიდევ დავძენ, ჩვენი მამაკაცების დანიშნულებისა და პასუხისმგებლობის უმთავრეს საკითხებზე.

მამაკაცის წმიდათაწმიდა ვალია ქალის ღირსების დაცვა ისე, როგორც ამას ეროვნული ადათ-წესი ასწავლის ყველას და მათ შორის ჩვენც, ქართველებს: ცოლი მთხოვა და ვერ მივეც... აი, ესაა მთავარი, როცა ყოველი თხოვნა შეგიძლია შეუსრულო მოსულს, გარდა საკუთარი ცოლის ღირსების შეგინებისა და ამ ღირსებას შეეწირო და შეიწირო კიდეც მოძალადე...

და აპა, ჩემი ბოლოთქმა, ლოცვის გვირგვინი ჩემი, ჰიმნი შენდამი, დედაო ღმრთისა. ეს ჰიმნი გულიდან მოდის, ვით თვით ეს ლოცვა და ნუ გამიწყრები ჰიმნის თავისებურებისათვის.



## პიმნი

ჰეი! ქალი არის ჩვენი დროშა, საქართველოს  
იმედი,

მაგრამ სელპუვეს, ჯვარს გააკრეს, ამირანთა  
დედები,

რომ ვერ ზარდონ ვაჟაცები – რუსთაველის  
გმირები,

ლვოისშვილების უფლებები ბათილდება  
ფულებით.

მისამდერი:

ჰეი! გვეყო სევდა ხვიჩას, გოჩას, სევდა  
უიარაღოს

ავირჩიოთ გეზი ერთი გაფხდეთ სრულყოფი-

**ლები,**

გერას გვიზამს ვნებათლელვა, მოგვერევა ვე-  
რასდროს,

გავახილოთ თვალები და გავხდეთ სრულ-  
ყოფილები.

ჰეი! ადსდექ ერო, თავს მიხედე, ადარ გეყო  
მონობა?!

სიმახინჯეს შევეყარეთ – ერი თავის მტე-  
რია,

მტრობა ჩვევად დაგვებედა, სულ დაგაკარგეთ  
გონება

ქვეყნის ნაცვლად ავაშენეთ სიცრუის იმპე-  
რია.

### **მისამდერი:**

ჰეი! გვეყო ცრემლი ხვიჩას, გოჩას, სევდა უ-  
არაღოს

ავირჩიოთ გეზი ერთი, გავხდეთ სრულყო-  
ფილები,

გერას გვიზამს ვნებათლელვა, მოგვერევა ვე-  
რასდროს,

გავახილოთ თვალები და გავხდეთ სრულ-  
ყოფილები.

ჰეი! სხვის ქვეყნებში მაწანწალებს, საკუთარ-  
ში ლტოლვილებს

მოგვივლინეს მძიმე ტანჯვა, ჯვარცმას რომ  
შეედრება

უნუგეშო მსხვერპლის ვჭვრეტდით ჩვენს პირ-  
მოთნე ურჯუკებს,  
მაგრამ ცრემლმა გამოგვაწრთო, ტანჯვამ  
შეგვქმნა გმირებად!

მისამდერი:

ჰეი! გვეყო ცრემლი ხვიჩას, გოჩას, სევდა უი-  
არადოს

ავირჩიოთ გეზი ერთი, გავხდეთ სრულყო-  
ფილები,

გერას გვიზამს ვნებათლელვა, მოგვერევა ვე-  
რასდროს,

გავახილოთ თვალები და გავხდეთ სრულ-  
ყოფილები.

ჰეი! ამობრწყინდა ვაჟკაცობის უშიშარი  
მთიები,

ულმობელი მტერთა მიმართ, კუშტი უშედავა-  
თო,

წინ გზა გვიძევს ეკლიანი ვარდების და  
იების,

ბრძოლის ქარცეცხლში გავდიგართ, ძმობის  
მზე რომ ავანთოთ!

მისამდერი:

ჰეი! გვეყო ცრემლი ხვიჩას, გოჩას, სევდა  
უიარადოს

ავირჩიოთ გეზი ერთი, გავხდეთ სრულყოფი-  
ლები,

ვერას გვიზამ ვნებათლელვა, მოგვერევა ვე-  
რასდროს,  
გავახილოთ თვალები და გავხდეთ სრულ-  
ყოფილები.

ქეთილი იყოს შენი მობრძანება დედაო  
დვთისა, წმინდაო მარიამ, ჩვენი მიწიერი  
დედების გასანათლებლად, მათი ამაღლებისა  
დ დირსების აღსაღენად. ამინ!





## მიქაელისა და გაბრიელის გზავნილი

ჩემო დებო და ძმებო! მე მოვედი რათა გითხრათ, რომ სიკვდილი არ არსებობს! არსებობს მხოლოდ მარადიული სიცოცხლე. ქრისტე ამის მაგალითია და ეს ყველას შეუძლია! ამისათვის საჭიროა სხეული არ დაამძიმოთ ცოდვებით, ანუ ავადმყოფობით. იცხოვრეთ სიკეთით ყოველთა სიკეთისთვის! ნუ ჩაეშვებით ცოდვების ჯოჯოხეთში. შეხედეთ ბუნებას, შეერწყეთ მას და იცხოვრეთ მისი კანონებით. ყველაფერი კანონზომიერებით შექმნა ღმერთმა, სიკვდილის გარდა. ნუ მიგაჩნიათ, რომ სიკვდილი აუცილებელია ან გარდაუვალი.

სიკვდილი არსებობს სიკვდილის დასათრგუნავად და არა სიცოცხლის მოსასპობად. როდესაც ამ კანონზომიერებას დაიცავს კაცობრიობა, ეს პრობლემა აღმოიფხვრება!

გილოცავთ აღდგომას! ქრისტე აღსდგა! ჰეშმარიტად! ყველას გულში აღმდგარიყოს მისი ძლევამოსილება! ამინ!

მე ვარ მიქაელი და გაბრიელი




ბოლოსიტყვაობის  
მაგივრად

## მედიტაცია

სიყვარული და ზრუნვა ბავშვებს!

უსაყვარლესი ნიკოლოზ რერიხის  
გარნახის ფრაგმენტი

2005 წლის 30 მაისი



მსურს ბევრი რამ ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც განსხეულებაში იმყოფებიან ამჟამად ამ დედამიწაზე. და ის, რაც ყველაზე აუცილებელია, აი ის მინდა მოგახსენოთ. მინდა მოგაწოდოთ ის რჩევები და რეკომენდაციები, რომლებითაც უნდა ისარგებლოთ ამჟამად.



მე რომ ეხლა განსხეულებაში ვიყო, მაშინ ჩემს ყოველ ძალას, მთელს ჩემს ენერგიას და ფულად სახსრებს მოვახმარდი მხოლოდ ერთს: ბავშვთა უფასო აღზრდას იმ ასაკიდან, რომელშიდაც ისინი ყველაზე იოლად ითვისებენ ნებისმიერ ინფორმაციას და მათი გონებაც ჯერ არაა დაბლოკილი ცრუ ინფორ-

მაციით, რომელიც მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან იღვრება.



მე მაქსიმალურ ძალის ხმევას გამოვავლენდი იმისათვის, რომ შევხვედროდი იმ ადამიანებს, რომელთა ხელშიცაა ძალაუფლება და იმ ადამიანებსაც, ვისაც ფინანსური საშუალება გააჩნია.



საჭიროა მოიძებნოს შესაბამისი სიტყვები, რათა დავარწმუნოთ ისინი ბავშვთა განათლების ვრცელი ქსელის შექმნის აუცილებლობაში ისეთი ბავშვების აღსაზრდელად, რომლებიც სწავლის უნარითაც და მახვილ-გონიერებითაც გამოირჩევიან.




ეს უნდა იყვეს გლობალური პუმანიტარული განათლება, რომელშიდაც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ხელოვნების, მსოფლიო ისტორიის, რელიგიის ისტორიის და თანამედროვე კომუნიკაციების ყოველ საშუალებათა სწავლა.

სახელდობრ, ამ საკითხებისადმი საჭიროა ვრცელი მიდგომები და შემოქმედების ყველაზე საუკეთესო ნიმუშების შესწავლა როგორც მეცნიერებაში, ასევე ხელოვნებაშიც, რომ-

ლებსაც განვითარების ამ ეტაპზე ფლობს კაცობრიობა, ასევე იმ მექვიდრეობის შესწავლა, რომელიც შთამომავლობით გვერგო ადამიანთა წინა თაობებიდან.



განათლებას ყოველმხრივი ზოგადჰუმანიტარული ხასიათი უნდა მივცეთ. ბავშვის ცნობისმოყვარე და გამჭრიახე გონება, დოგმებისა და სასოწარკვეთილებისაგანაა თავისუფალი. რაც უკვე ჩამოყალიბებულ თაობას ახასიათებს და ამიტომ მას ღრუბელივით შეუძლია შეიწოვოს ცოდნა და ჩაწვდეს ყველაფერს, რაც კი კაცობრიობას დაუგროვებია.



ადამიანი, რომელმაც სრულფასოვანი განათლება შეიძინა და რაც მთავარია, დვორიური კანონის შესახებ მიიღო წარმოდგენა, ის საზოგადოების საფუძველი და საძირკველი გახდება, რაზედაც ჩვენ მომავლის შენობას, ახალი ეპოქის შენობას ავაშენებთ, რაც ძველის სანაცვლოდ უნდა მოვიდეს.





განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთ-  
მოთ რელიგიურ განათლებას. პავშვის ცნო-  
ბიერებაში არასოდეს არ უნდა ჩავნერგოთ  
რომელიმე რელიგიის საფუძველი, რომელიც  
უკვე არსებობს დედამიწაზე. მაგრამ უნდა მივ-  
ცეთ ცოდნაც და რწმენის საფუძვლების  
განმარტებანიც.




ლვთაებრივი გრძნობა იმთავითვე თანდაყოლილი აქვთ იმ ბავშვებს, რომლებიც ამ სამყაროში მოდიან. განსაკუთრებით იმათ, ვინც მეექვსე ძირეულ რასას ეპუთვნიან და რომლებმაც დაიწყეს დედამიწაზე განსხეულება.



და ეს ლვთაებრივი გრძნობა, ლვთიური კანონისა და ლვთაებრივი სამართლის მიმართ რწმენა, თავისუფლად უნდა განვითარდეს ბავშვის ცნობიერებაში ისე, რომ ეკლესიური დოგმების არავითარი ზეგავლენა არ განიცადონ.



ბავშვის გონება უნარიანია მაღიან სწრაფად  
მოიძიოს ის საერთო არსი, საერთო წყარო,  
რომლებიც ყოველი რწმენისა და რელიგიის  
უკან დგანან. და, სახელდობრ, აი ესენია ის  
პრინციპები, რაც ასე ესაჭიროება მთელს კა-  
ცობრიობას, და განსაკუთრებით კი ამ ეტაპზე  
მყოფ რუსეთს...



ყოველი ბავშვი, რომელმაც ამგვარი სრულფასოვანი განათლება მიიღო, უნარიანი იქნება ზეგავლენა მოახდინოს ცხოვრებაში და მონაწილეობა მიიღოს კიდეც ცხოვრებისეული ორიენტირების ჩამოყალიბებაში ქვეყნის (ქვეყნების) ათასობით და მილიონობით ადამიანთათვის და ეს მოხდება იმ შემოქმედების სფეროს მიუხედავად, რომელსაც აირჩივს თავისი ძალების გამოსავლენად.



ბავშვების განათლებაზე ზრუნვა იმ ამოცანას წარმოადგენს, რომელსაც თავისი მნიშვნელობისა და ღირებულების თვალსაზრისით ვერაფერი სხვა ვერც კი შეეძრება.



ქვეყანა, რომელიც არ ზრუნავს თავის მო-  
მავალზე, სიცოცხლის უნარიანი ქვეყანა ვერ  
იქნება.

დროა ყოველდღიურ წეს-ჩვეულებებში და-  
ვიბრუნოთ ისეთი მცნებები, როგორებიცაა პა-  
ტივი და ლირსება.

საზოგადოება საჭიროებს ზნეობრივი ორი-  
ენტირების სასწრაფო აღდგენას.



## მე ვარ ნიკოლოზ რერიხი

# როგორ ზრდიან ბავშვებს სხვა ქვეყნებში

## დანია

დანიის ბავშვები თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის ატმოსფეროში იზრდებიან. იქ ბავშვი ადრეული ასაკიდანვე ოჯახის სრულფასოვანი წევრია, რომელსაც თავისი აზრის გამოთქმის უფლება აქვს და ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში ღებულობს მონაწილეობას. დანიელი მშობლებისათვის აღზრდის მთავარი მეთოდია — თამაში, ამიტომ მათი საბავშვო ბადები უმაღლეს დონეზე არიან აღჭურვილნი ყოველივე იმით, რაც სხვადასხვა სათამაშო პროგრამებს ესაჭიროება.

## ირლანდია

ამ ქვეყანაში ბავშვებს უზენაესი სისათუთით ექცევიან. თუნდაც რომ რაღაც გაუტყდეს ბავშვს სახლში ან მაღაზიაში, არავინ გაუჯავრდება მას ამისათვის, ხშირად პირიქითაც მოექცევიან მას, — „ხომ არ შეგეშინდა-ო?“ აი ასე ამშვიდებენ მას კრიტიკულ სიტუაციაში.

მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიელი ქალები საკმარისად ზრდასრულ ასაკში აჩენენ შვილებს, ბავშვების სიმრავლეა მათ ოჯახებში, – ხშირად ოთხი ან ხუთი. საინტერესოა, რომ ამ ქვეყანაში სრულებით არაა საბავშვო სახლები: ობოლთათვის ყოველთვის მოიძებნება თბილი და მოსიყვარულე ოჯახი.

### ავსტრია

ამ ქვეყანაში ბავშვთა აღზრდას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საკითხს, არაერთ-მნიშვნელოვნად აფასებენ. ერთის მხრივ ითვლება, რომ ავსტრიელი მშობლები ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი მშობლები არიან მსოფლიოში. მეორეს მხრივ, ითვლება, რომ ზუსტად ავსტრიაში ბავშვების სათამაშოების საყიდლად ყოველწლიურად იხარჯება გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე სხვა ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში.

### ბელგია

ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ასწავლიან გახდნენ საზოგადოების განუყოფელი ნაწილი. უკვე 2.5 წლიდან ბავშვები დადიან... სკოლაში! კლასში ერთი მასწავლებელი ასწავლის და

ის მუდმივად მუშაობს მათთან. ის მათ ას-წავლის აკურატულობას, მეგობრობას, ერთ-მანეთის დახმარებას, თანატოლების მიმართ პატივისცემას.

## ნიდერლანდები

„ბავშვები თავისუფალნი უნდა გაიზარ-დონ“, – აი ამ ქვეყნის მთავარი წესი. ბავშვებს ყველაფრის უფლებას აძლევენ, ოღონდ მათ ჯანმრთელობას არაფერი არ უნდა ემუქრე-ბოდეს. გინდაც რომ დილიდან საღამომდე აშენონ, ანგრიონ, ირბინონ ან იხმაურონ, –არა-ვინ სიტყვასაც არ ეტყვის მათ. ასევე სწავ-ლაც სახალისო და სასიხარულო უნდა იყვეს. სკოლაში ბავშვები პრაქტიკულად ხელცარი-ელები დადიან: თან მხოლოდ ბუტერბროდი მიაქვთ და დანარჩენ საჭიროს მათ სკოლაში აძლევენ უშუალოდ გაკვეთილზე.

## აშშ

შტატებში ბავშვის მიმართ საზრუნავი ახალ-გაზრდა დედების მხრებზეა დადებული, რომ-ლებიც არ ჩქარობენ დეპრეტიდან გამოსვლას. ბავშვის მიმართ მოთმინება და დემოკრატიული

დამოკიდებულება აქვთ გამომუშავებული.. და-  
ნაშაულის გამო უმთავრესად ორი სასჯელი  
არსებობს: პირველი, – სათამაშოს ჩამორთმე-  
ბა ან ტელევიზორის ცქერის აკრძალვა, მეო-  
რე – „დასვენების სკამი“, რომელზედაც ჩუმად  
მჯდარი ბავშვი ფიქრობს იმაზე, თუ რა და-  
შავა. და თუ ბავშვი ვინმეს ეტყვის, რომ იგი  
სცემეს, მაშინ ამის გამგონე ადამიანი უპირვე-  
ლესად ყოვლისა პოლიციას გამოიძახებს.

## კანადა

აქ, როგორც ნიდერლანდებში, ბავშვს პრაქ-  
ტიკულად ყველაფრის უფლება აქვს. სი-  
ტყვა „არა“ აქ არ არსებობს, აკრძალულია  
და აღზრდის ძირითად ამოცანას წარმოად-  
გენს შემოქმედებისა და შინაგანი თავისუფ-  
ლების განვითარება. შეზღუდვა საერთოდ  
არ არსებობს: არ არსებობს მკაცრი რეჟიმი,  
მოთხოვნები, დისციპლინა. ყველა ცდილობს  
უბრალოდ დატკბეს ცხოვრებით, ბავშვებიცა  
და დიდებიც.

## საქართველოში?

უმჯობესია გავიხსენოთ წინაპართა სიბრძნე, რომელიც ასე გამორჩეული ყოფილა აქ მოყვანილ სრულიად საკაცობრიო განზომილებასთან შედარებით. ასე რომ დირს გავიხსენოთ წინაპართა სიბრძნე...

შვიდ წლამდე ბავშვი, ბავშვი იყო და ლალობდა: თამაშობდა, მშობლებისა და ახლობლების სიყვარულით ტკბებოდა და... ეს მხოლოდ შვიდ წლამდე.

შვიდი წლის რომ გახდებოდა, მას ოფიციალურად უფროსებში ღებულობდნენ: შვიდი წლის ბავშვი, ისევე როგორც უფროსები, უფროსის სახლიდან გასვლის თუ შემოსვლის დროს ფეხზე დგებოდა ისევე როგორც უფროსები მისი გასვლა-შემოსვლისას! იგი ოჯახის სრულუფლებიანი და პასუხისმგებელი პირი ხდებოდა სათათბირო, გადამწყვეტი სიტყვის უფლებით. ასე იზრდებოდა მეომარი, დიასახლისი, მომავალი დედა თუ მამა და ნამდვილი მამულიშვილი, ერის პატრონი და მოამაგე. მათი შემსედვარე მოზარდი პატარები შენატროდნენ ზრდასრული ასაკის მქონე გუშინდელ ბავშვებს და მათში უკვე ისახებოდა მომავალი ნამდვილი ქართველი...

...ალბათ დირს ამ უკეთილშობილესი ადათის აღდგენა ერში!



# შინაარსი

შინასიტყვაობა	3
მადლიერების ლოცვა, – ლვთისმშობლის გზავნილი	7
ჭეშმარიტება ბავშვის ენით ლაპარაკობს!	9
ბავშვები წერენ ღმერთს	29
გულის ლოცვა	38
ყველა საიდუმლოება	40
1. მე ვარ	41
2. ყოველივე სიკეთეა	46
3. ჯანმრთელობა	50
4. მკურნალობა	54
5. სიწმინდე	58

6. საჩუქრის საიდუმლოება	63
7. დამცირება	70
8. აღორძინება	75
9. თავისუფლება	79
10. რელიგია	83
11. სიკვდილი	90
 მამაზეციერის გზავნილი	98
 სპეცულაცია დედობით	102
 ჰიმნი	122
 მიქაელისა და გაბრიელის გზავნილი	126
  ბოლოსიტყვაობის მაგივრად სიყვარული და ზრუნვა ბავშვებს!	129
  როგორ ზრდიან ბავშვებს	
 სხვა ქვეყნებში	141